



№ 3-67



ფორმულ-კვირეული უყრბალო

№ 21

წალიწადი მითრე



ბიბლიოთეკა №	_____
მუხრან №	_____
ბიბლიოთეკა №	_____
ბიბლიოთეკა №	_____
ბიბლიოთეკა №	_____

ფასი 10 კაპ.

გორთხოვით კოოპერატიული რბე

„ლილი“



მეშვევით ამხანაგობა „ლილი“ თავისი ნამდვილი და ჰიგოენური რბით მოიპოვა კარგი ბაზარი და ახლა აფართოვებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთა მიაწოდოს საუკეთესო რბე ბინასედა, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რბის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „ლილი“ Габавский пер. № 3. და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

ფრანგულ-კავკასიური საეაქრო და სამრეწველო ბიურო

„იპერი“ კარიზვი

იძლევა უოველ გვარ ცნობას, ჭუიდის მადნეულობას და სხ.

ადრესი: Paris Faubourg Montmartre 10

33(05)  
5-67



№ 21

19 მაისი 1913 წ.

ქართული  
სოციალისტური  
მიზეზი

მიიღება ხელის მოწერა. ფასი  
1 წლ., — 5 მან. 6 თვ.— 2 მ.  
75 კ., 3 თვ.— 1 მ. 50 კ., 1  
თვ.— 50 კ. სოფლის მასწავლე-  
ბელთ, სამკითხველოებს და  
უმაღლეს სასწავლებლებში მო-  
სწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ-

გიური და სალიბერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10-3 საათ.

მის-მართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კვლე“. დეპუტისა: თბილისი კვლე.

სარჩევნი: წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობი-  
სა.—ალ. ყიფშიძისა. შორიდან. — დუტუ მეფ-  
რელისა. ლექსი.—ი. მჭედლიშვილისა. „სემ  
პოლიტიკაზე“. — ნ. ნიკოლაძისა. კავკასიელ ქალ-  
თა საზოგადოება. — ეკ. გაბაშვილისა. საზო-  
გადოება „კახეთი“. — დ. გამყრელიძისა. თავ-  
ზნაურთბის საგანგებო კრება. — რ. გ—ესი. ბაღ-  
კახეთის ამის შედეგები. ბიბლიოგრაფია.

### წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა \*)

წერილობით მოხსენებაში დავით ქაიხოსროს  
ძე ყიფიანი, ასე განმარტავს ხიზნობას: ხიზნობა  
არის ისეთი საადგილ-მამული ურთიერთობა გლეხ-  
მემამულე და ბატონ მესაკუთრეს შორის, როდესაც  
გლეხი დაბინავდა ბატონის მამულზე სამუდამოდ და  
იკისრა განსაზღვრული გადასახადი, რომლის შეც-  
ვლაზე არც ერთს მხარეს არა აქვს უფლება. უმთავ-  
რესი დამახასიათებელი თვისება ხიზნობისა ისაა,  
რომ ხიზანი ბინავდებოდა სამუდამოდ და შეუძლე-  
ბელი იყო მისი აყრა ბატონის მამულიდან. თუ ამ  
განსაკუთრებულ თვისებას ჩამოვაცლოთ ხიზნობას,

მაშინ ხიზნობა დემუხავსება სხვისა მამულით უფ-  
ლება-აყრილ სარგებლობას და არავითარი ხიზანთა  
საქმეც აღარ გაჩნდებოდა. ხიზნობის მეორე დამა-  
ხასიათებელი თვისება ისაა, რომ მამულის პატრონი  
შეზღუდულ-შეზღუდულია შესცვალოს და გაადი-  
ლოს სახიზნო გადასახადი. ეს მეორე — დამახასიათე-  
ბელი თვისება, თავის თავად, იურიდიულ ლოლიკის  
საფუძვლით გამომდინარეობს პირველ თვისებიდან,  
რადგან თვითნებობითი უფლება სახიზნო გადასახა-  
დის გადიდებისა გახდებოდა ხიზნის აყრის უფლე-  
ბად, თვითნებობითვე. მაშასადამე სახიზნო ურთი-  
ერთობა წარმოადგენს მამულის პატრონის საკუთ-  
რების უფლების შეზღუდვას იმ მამულზე, რომელიც  
შეადგენს სახიზნო უფლების საგანს. მთელი არსი  
საქმისა სწორედ მამულის პატრონის ამ საკუთრების  
უფლების შეზღუდვაშია. შეწყნარება იმისი, რომ  
მამულის პატრონი უფლება აქვს გაადილოს, ან  
შესცვალოს თვისის ნება-სურვილით სახიზნო გადა-  
სახადი, ან თვისის ნება-სურვილით აპყაროს ხიზანი,  
ნიშანი იქნება იმისი, რომ ჩვენ ვშლით და ვანად-  
გურებთ ხიზანთა უფლებას და მაშინ ათი ათასი  
სული ადამიანი, რომელთაც შეერყევა საუკუნო სი-  
მართლის გრძნობაც, პროლეტარად გარდაიქცევა.  
სოფლის ცხოვრებაში ახალ პირობათა გაბატონების  
შემდეგ, წინანდელის უფლების ძალა და სიმტკიცე  
შეირყა, მამულის ფასმა აიწია, ბატონის მოთხოვ-  
ნილება შეიცვალა, შესუსტდა კავშირი ძველ მამა-  
შვილურ ურთიერთობისა ბატონსა და გლეხის შო-  
რის. სხვა და სხვა თვალთ დაუწყეს ყურე-

\*) იხ. „კვლე“, №№ 13, 15, 16, 17, 18, 19 და 20.

ბა ერთსა და იმავე საგანს და საარსებო უფლებათ; იჩინა თავი აზრთა წინააღმდეგობამ. ათი ათას სულ ადამიანს სულ ადვილად მოჯამაგირეობა (რუსულად: БИТРАКИ) მოელოდა, ადგილობრივ დებულების მე-8 მუხლი რომ არ მიშველებოდა, რომელმაც დააკანონა ხიზანთა არსებობა. თითო-ორიოლა მაგალითი ძალმომრეობისა, ძალდატანებისა და სასამართლოს უსამართლო განაჩენისა არაფერს არ ამტკიცებს ამ საქმეში. უმთავრესი აქ შეგნებაა ერის მიერ (რუს. მასსა) სიმართლისა და მთავრობაც ვალდებულია არ გადასწყვიტოს ხიზანთა საქმე წინააღმდეგ ერის შეგნებისა. არსებულ სახიზნო ურთიერთობის დაკანონება შეუძლებელია, რადგან იურიდიულის თვალსაზრისით ურთიერთობა იგი უფორმო და უსახურია. მაგრამ აუცილებელ საქმეობას წარმოადგენს მოწესრიგება სახიზნო ჩვეულებაზე აღმოცენებულ საადგილმამულო ურთიერთობის დამახასიათებელ თვისებებისა. საქმეობა იგი დამახასიათებელი თვისებანი უფლებიან ნორმებში მოვაქციოთ. ამ მოსაზრებათა ძალით დ. ქ. ყიფიანი პტიქრობს, რომ ხიზნებს უნდა მიენიჭოს უფლება გამოისყიდონ საკუთრებად ყველა ის მამული, რაც უჭირავთ, ხოლო გარკვეული უნდა იყვეს წესი და რიგი, თუ როგორ დავაჯილდოვოთ მამულის პატრონები იმ გადასახადის მაგიერ, რასაც ხიზანი იხდიდა ბატონის სასარგებლოდ. ყიფიანის აზრით დასახსნელ ფასის საფუძვლად უნდა დაიდოს სახიზნო მამულის\*) **დღევანდელი ღირებულება** კი არა, არამედ ღირებულება **სახიზნო გადასახადისა**. რადგან მარტოდ-მარტო ამ გადასახადს ჰკარგავს მამულის პატრონი.

წერილობითი მოხსენება დავით ყიფიანისა ფრიად საყურადღებოა და თუ გნებავთ საოცარიც: სიტყვიერად ერთი სიტყვა და წერილობით მეორე. სიტყვით იმ აზრისა იყო, რომ მებატონეს უნდა მიეცეს ღირებულება სახიზნო მამულისა და ასამხდური იმისა, რაც ზარალი მოუვა ხიზნების ჩამორთმევითაო, ხოლო წერილობით იმას ამტკიცებს, რომ ხიზანმა შესყიდვის დროს მამულის ღირებულება კი არ უნდა გაილოს, არამედ მარტო გადასახადის ფასიო, რადგან მარტო ამ გადასახადს ჰკარგავს მამულის პატრონიო. საოცარი შედეგი მოჰყვება ამ აზრის განხორციელებას. აი ერთი მაგალითი. ს. ტაბა (4 კომლი) იხდის წელიწადში ფულად 13 მა-

ნეთს, უჭირავთ 600 დესეტინა მშენიერი მამული. ასამხდური, ანუ დასახსნელი ფასი ამ მამულისა 60/0 კვალობაზე იქნება 216 მ. 66 კაპ. ანუ დესეტინა 36 კაპ. ჯერ-ჯერობით მარტო ამ ერთის მაგალითით დავკმაყოფილდეთ და ნურას ვიტყვი იმ 86 კომლ ხიზანზე, რომელთა მოვალეობა ასეა აღნიშნული სასტატისტიკო კრებულში: **ВЗЯТЬ СЪ ПОМЪЩИКАМИ**. ამ გადასახადს რა კაპიტალიზაციას გაუკეთებდა ბ-ნი დ. ყიფიანი, დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩვენი გონება ვერ მიხვდება. თუ ასე ვიანგარიშებთ, რომ დღეში ცხენიანი კაცი ღირს 2 მან., მაშინ წლიური გადასახადი დაიქვრს 730 მ. მისი კაპიტალიზაცია შეადგენს 12,160 მან. ამოდენა დასახსნელი ფასი, რაც უნდა დიდი მამული ექიროს ბატონის მხლებელ ხიზანს, სულითა ხორცამდე დაჰლუპავს. ჩვენ პირადად მოტრფიალენი არ გახლავართ არც ერის „გაპროლეტარებისა“ და არც „გაბატრაკებისა“. მხენელ-მთესველს უფლება აქვს როგორც მორალური, აგრედვე იურიდიული მოითხოვოს საკმარისი მამული სამუშაოდ. იგია შემომქმედი ეროვნულის სიმდიდრისა და მამასადამე უნდა ჰქონდეს იარაღი წარმოებისა, ესე იგი მამული ოფლის დასადგრელოდ და სიმდიდრის გასაჩენად. ერის ამ კანონიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება არ ძალუძს კერძო კაცს, ეს დიდი საქმე მოვალეობაა ისეთის ღონიერის ინდივიდისა, როგორცაა სახელმწიფო, ანუ კოლექტიური ძალა მთელის ერისა.

ესტქვათ, განხორციელდა დ. ქ. ყიფიანის აზრი და 4 კომლ ტაბელ ხიზანს მიჰყიდეს ხუთ თუმანიანი დღიური 18 კაპიკად, მერე და განსვენებულ ს. ნ. ვეზირიშვილის ობლებს რაღა პასუხი გავცეთ? თუ სახელმწიფო მოვალეა იზრუნოს ტაბელებზე, ობლებმა რაღა დააშავეს? წყნელი მოუჭიროთ და ხაროში გადავყაროთ? თუ ტაბელების „გაპროლეტარება“ და „გაბატრაკება“ არაა სასიამოვნო, მაშ არც ტყვიით განგმირულის კაცის ობლების გაცარცვა და გათახსირება უნდა იყვეს სასურველი და სახეირო ქვეყნისათვის.

საქართველოს თავად-აზნაურობაზე რომ ლაპარაკობენ ხოლმე, თვალწინ, ვგონებთ, ინგლისის ლენდ-ლორდები უდგიათ, ან გერმანიის „იუნკრები“, ან კიდევ რუსეთის ბობოლა „პომეშჩიკები“. საქართველოს სინამდვილე სულ სხვაა. სადაა ჩვენში დიდ-მამულიანი აზნაური? იყვნენ და აღარ არიან. აი რა სურათს ჰხატავს ფ. გოგიჩაიშვილი (იხ. მისი კრებული, გვ. XV და XVII) ჩვენის აზნაურების

\*) სახიზნო მამული, რუსულად: земли и угодья. რუსული ფრაზა ისე უნდა გაეიგოს, რომ ხიზანს შეუძლიან შეისყიდოს სახნავ-სათესის გარდა, სასერვიტუტო მამულიც.

მიწადმფლობელობისას: ტფილისის გუბერნ. ყოფილა სულ 5884 აზნაურული მიწადმფლობელობა, აქედან 10,81%-ს ანუ 636 კაცს ჰქონია 0—1 დესეტინა; 9,82%<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ანუ 578 კაცს—1—3 დესეტინა; 7,63%<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ანუ 449 კაცს ჰქონია 3—5 დეს.; 10,59%<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ან 623 კაცს ჰქონია 5—10 დეს.; 6,25%<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ან 368 კაცს ჰქონია 10—15 დეს.; 8,45%<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ან 497 კაცს ჰქონია 15—25 დეს. მაშასადამე ნახევარზე მეტს თავად-აზნაურს, ესე იგი 53,55%<sup>0</sup>/<sub>0</sub> (3151 კაცს) ჰქონია მამული დაწყებული ნოლიდან (არარაობიდან) ოცდა ხუთ დესეტინამდე. ისეთი მამული, რომლის რაოდენობა 10 დესე ჭინაზე ნაკლებია, ყოფილა 39%<sup>0</sup>/<sub>0</sub>. საშუალო მამული, ზომით 25-დან 100 დესეტინამდე ნაანგარიშეგია 23,33%<sup>0</sup>/<sub>0</sub>; დიდი მამული (100—500) — 16,98%<sup>0</sup>/<sub>0</sub> და სულ დიდი (500 დესეტინაზე მეტი)—6,14%<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ასეა აღმოსავლეთ საქართველოში; დასავლეთ საქართველოში ხომ უარესობაა. იმერეთში (იგივე კრებული, გვ. LXXXV) სულ 12857 სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობა ყოფილა, აქედან ცხრა მეათედს ჰქონია მამული ზომით ნოლიდან დაწყებული 25 დესეტინამდე. 12,857 კაციდან 11.543 კაცს თვის სარჩენალი მამული არა აქვს. განა ამ ავლა-დიდების პატრონს წოდებას შეიძლება ვაკისრებინოთ ისეთი დიდის ტვირთის ატანა, როგორცაა უმამულო კაცის დაპურიანება მამულით? თუ ისე გადაწყდება საქმე, როგორც ჰფიქრობდა განსვენებული დ. ქ. ყიფიანი, მაშინ უეჭველად მოხდება „პოზიციის“ შეცვლა, სხვა არაფერი, ესე იგი ცხოვრებაშვილი, ან გარსოშვილი „გაპროლეტარებას“ და „გაბატრაკებას“ გადარჩებიან, ხოლო ვინმე აბაზაძე, ან ჩიკოიძე პროლეტართა და მოჯამაგირთა მორევში შესტურდებიან. ვგონებთ ყველა დაგვეთანხმება, რომ დიდის საქმის ასე დაბოლოვება ყოვლად შეუწყნარებელია რიგიანად მოწყობილ სახელმწიფოში.

დ. ქ. ყიფიანი ურიგო იურისტი არ იყო და როგორც უკვე ზემოდ ვიხილეთ მოხდენილი და მწყობრი სქემა შეიმუშავა ხიზნობის მოსასპობად. იგი უნდა ჩაითვალოს თეორიით ხიზნობის საუკეთესო იდეოლოგად. მაგრამ სათქმელი ისაა, რომ ურიგო იურისტი არც კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რეიტერი იყო. რეიტერმა მკაფიოდ აღვიარა, რომ ხიზანთა საქმე საღაპარაკოდ გახდა კლუბინის ცირკულიარის შემდეგ, როცა, გამოუკლებლივ, ყველა იჯარადარმა თავის თავს ხიზანი უწოდაო. ნადელის მიცემა უხერხულად სცნო, რადგან თვით მთავრობამ უარყო ასეთი განზრახვა ტფ. საგლეზრო

საქმეთა საკრებულოსი იმ მოსაზრებით, რომ დროებით-ვალდებული კაცი სხვაა და თავისუფალ წოდების კაცი სხვააო. რეიტერმა ამის გამოყენებით იმ საშუალებას მიჰმართა საქმის გასაგებლად, მელიც ერთად ერთი სწორი და სამართლიანი გზაა — მთავრობამ უნდა იკისროს მათი ბედის მოწყობაო. სხვა გზით სიარული ის იქნება, რომ ერთს გაეკეთებთ, ხოლო მეორეს წელს მოვსწყვეტავთ საბოლოოდ.

დღევანდელი პროექტი მთავრობისა, თუ როგორ უნდა გადასწყდეს ხიზანთა საქმე, რომელსაც იხილავს სახელმწიფო სათათბირო, სავსებითაა აშენებული დ. ქ. ყიფიანის აზრზე. მაშასადამე 1884 წ. გამოქმული აზრი დღეს, 1913 წ., ისხამს სხეულს და ხორციელდება. 1891 წლ. 3 ივნისის და 1900 წლ. 5 ივნისის კანონი ასე რადიკულურად არა სწყვეტდა საქმეს, როგორც ამას სჩადის დღევანდელი კანონპროექტი. რასაც დ. ყიფიანი ამბობდა 1884 წელს, იმასვე იმეორებს ახალი კანონპროექტი, ესე იგი ხიზანმა შესყიდვის დროს მამულის ღირებულობის ფასი კი არ უნდა გაიღოს, არამედ სახიზნო გადასახადის ღირებულებაო. აღსანიშნავი აქ ისაა, რომ კანონპროექტის ავტორებმა უმადურობა გამოიჩინეს და განსამარტებელ მოხსენებაში ერთხელაც არ ახსენეს ის კაცი, ვისაც პირველად მოუვიდა ფიქრად ხიზნობის მოსპობა მამულის დახსნით კი არა, არამედ სახიზნო გადასახადის ღირებულების გამოსყიდვით.

დ. ქ. ყიფიანის პროექტი შეიცავდა სულ 14 მუხლს და ავალვდა ხიზნებს და მამულის პატრონებს სამის წლის განმავლობაში მორიგებით გაეთავებინათ საქმე. უკეთუ ამ ვადაზე მორიგება არ მოხდებოდა, მაშინ ხიზანს უფლება ეძლეოდა იძულებით მოეთხოვა დახსნა მამულისა, ხოლო არა უმეტეს ერთის დესეტინისა სასახლკარო ადგილისათათო კომლზე და 10 დესეტინისა მინდვრის მიწებისა და ტყისა.\*) მეშვიდე მუხლი თხოულობს: უკეთუ ხიზანი აღნიშნულ ვადაზე არ მოითხოვდა მამულის იძულებით დახსნას, მაშინ უნდა აყრილიყო და წასულიყო. უფლება ჰქონდა თან წაეღო ხიზანს მოძრავი ქონება და გადაეტანა სახლკარი და შენობანი. თუ სახლკარს და შენობას მამულის პატრონს დაუნარჩუნებდა, მაშინ უკანასკნელს შენობის ფასი უნდა მიეცა. ეს მოთხოვნილობა დ. ყიფიანისა შესახებ სამის წლის ვადისა რომ შეეტა-

\*) ხიზანთა ისტორიამ მაგალითი არ იცის, რომ ხიზანს მოეთხოვოს იძულებით — შემასყიდვინეთ მამულიო.

ნათ 1891 წლ. 3 ივნისის კანონში, დღეს ხიზნის სახსენებელიც აღარ იქნებოდა. რად შეიტანა დ. ქ. ყიფიანმა ასეთი სახითა და ხიზნებისთვის საზარალო მუხლი კანონპროექტში, მასალებიდან არა სჩანს.

გაზეთი „თემი“ (№ 123) გვაუწყებს: „დებ. ჩხეიძემ აცნობა დებეშით გაზეთ „ხაკავკახსკაია რეჩს“, რომ სახელმწიფო სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიამ გამოსთქვა სურვილი, რომ ხიზნებმა მათ მიერ დაჭერილი მიწა-ადგილები საკუთრებად შეიძინონ გამოსყიდვის საშუალებით“. ამ დებეშას მცირედი განმარტება სჭირდება. სახელმწიფო სათათბიროს კარგა ხანია წარუდგინეს ხიზანთა საქმის ლიკვიდაციის პროექტი, რომელსაც ხელი მოაწერა 37 დებუტატმა და უეჭველია, მათ შორის ხელს აწერს ქართლ-კახეთის დებუტატიც ნ. ს. ჩხეიძე. დედა აზრი პროექტისა ისაა, რომ ხიზნებს საკუთრებად დაუბრუნდეს ის მამული, რომელიც მათ უჭირავთ და მოისპოს უსასყიდლოდ ის გადასახადი, რომელსაც ხიზნები იხდიან. მდებრიდ რომ ვსთქვათ, მუქთად უნდა მივეცეთ ხიზნებს მამულით. ამის მთქმელმა და ამ მოაზრემ თავი რაღად შეიწუხა და რაღად შეადგინა პროექტი ხიზანთა საქმის ლიკვიდაციისა, ჩვენ ვერ მივხვდით. განა არ ემჯობინებოდა, პირდაპირ ეთქვათ: შორეულ საქართველოში სცხოვრობენ ხიზნები, დიდი ხანია ღალა-კულუხს იხდიან და ბეგარას ეწევიან. ღალა-კულუხის ძლევით და ბეგარით დიდი ხანია მოიპოვეს საკუთრების სრული უფლება დაჩეჭებულ მამულზე და მაშასადამე დაეკანონათ. რომ დღეიდან ხიზნები ვალდებულნი აღარ არიან იხადონ ღალა-კულუხი და ბეგარა და რაც მამული უჭირავთ, მათი საკუთრებააო. არ ვიცით, დებუტად ჩხეიძის დებეშა შეეხება ამ გულუბრყვილო და საარაკო პროექტს, თუ კავკასიის მთავრობის იმ ახალს პროექტს, რომელიც ამ დღეებში წარადგინეს სახელმწიფო სათათბიროში. როგორც ზემოდ უკვე ვიხილეთ, ახალი პროექტი აშენებულია იმ საფუძველზე, რომელიც წამოაყენა 1884 წ. განსვენებულიმა დ. ქ. ყიფიანმა. ახალი პროექტი უფრო შორს მიდის, ვიდრე ამას ჰფიქრობდა დ. ყიფიანი, რადგან სახნავ-სათესის დახსნის შემდეგ ხიზანს რჩება ხელ-შეუხებლად სასერვიტუტო უფლება წყალზე, ტყეზე და საძოვარზე, ვიდრე მათს სარგებლობის შესახებ განსაკუთრებული კანონი გამოცხადდება. სასერვიტუტო უფლებანი ხიზნისა ყიფიანის პროექტში ბუნდოვანად არის მოხსენებული, ხოლო ახალს პროექტში ნათლად და მკაფიოდ. ამის მიზეზით

ვსთქვათ, რომ ახალი პროექტი უფრო შორს მიდის, ვიდრე ყიფიანის პროექტიო. ამავ მოაზრების ძალით აქაურის მთავრობის პროექტს შევანია უფრო რადიკალურ პროექტად, ვიდრე დებ. ყიფიანისა. იგი თითქმის უახლოვდება 37 დებუტატის პროექტს.

ქართლ-კახეთის დებუტატის დებეშა პირველი მერცხალია. თუ სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიამ მოიწონა, ვსთქვათ, კავკასიის მთავრობის პროექტი, მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თვით სათათბიროც შეიწყნარებს მას. ეჭვი არ არის, რომ არც სახელმწიფო საბჭო დაიწუნებს ამ პროექტს, რადგან საბჭომ უარის ტყეცა და ახირება ამისთანა საგნების განხილვის დროს არ იცის.

ურიგო არ იქნება გავითვალისწინოთ, რა შედეგი მოჰყვება ახალ კანონ-პროექტის მიღებას და დამტკიცებას. ერთი მაგალითი ზემოდ უკვე გახლდათ დასახელებული. ტაბელები საკუთრებად შეიძენენ დღიურ მიწას 18 კაპეკად, ესე იგი თითქმის უფასოდ. ეს საუცხოვო მაგალითი იმასაც გვიჩვენებს, რომ შეუძლებელი ხდება სამზღვრის დადება მთავრობის და 37 დებუტატის პროექტებს შორის, რადგან თუნდ აგილია 18 კაპეკი დღიურ მიწაზე, თუნდ არა. ასეთს სასყიდელს აზნაური არ „იკადრებს“ და გულის მოსაფხანად ამას მაინც იტყვის: უსასყიდლოდ მივეცი მამული ხიზანსაო. აი სხვა მაგალითებიც: ახალსოფელს, ნადარბაზევს და გულხანდისს საჯავახოში უჭირავთ 1150 დესეტინა მამული. წელიწადში იხდიან 64 მან. ექვსის პროცენტის კვალობაზე კაპიტალიზაცია ამ გადასახადისა მოგვცემს 1066 მ. 66 კაპ. მაშასადამე დესეტინაზე მოვა ესე 93 კაპ. ან დღიურზე 46 კაპ.

ს. მღებრიანს (საჯავახო) უჭირავს 970 დესეტინა, გადასახადს იხდის სოფელი 96 მან. 60% პროცენტის კვალობაზე კაპიტალიზაცია იმ გადასახადისა მოგვცემს 1600 მან. მაშასადამე მღებრიანს უფლებს დესეტინა დაუჯდებათ 1 მან. 65 კაპ, ანუ დღიური 82 1/2 კაპ.

ს. ჭანჭახს უჭირავს 300 დესეტინა და იხდის 27 მან. ამათ დღიური დაუჯდებათ 75 კაპ. ს. დიდ-ჯვარებს უჭირავს 800 დესეტინა და გადასახადს იხდის 96 მანეთს. ამათ დღიური დაუჯდებათ 1 მან.

საჯავახოს მთის სოფლებში ბინადრობს ახალი ფორმაციის ხიზნობა. თუ დამტკიცდა ახალი კანონ-პროექტი, საჯავახოს ხიზნები მუქთად მიიღებენ მამულს, რადგანაც 18 კაპეკს და 1 მანეთს დღიურ

რის ფასად ვერ მივიღებთ. ბარში სხვანაირად მოეწყობა ხიზნების საქმე. ბარში ღალა კოდნახევარია, ხან ორი კოდი, ზოგჯერ მეტიც, ავიღოთ მართო კოდნახევარი და ვიანგარიშოთ საშუალოდ 6 ფუთი ხორბალი. რადგან მამული ორს წელიწადში ერთხელ იხენის, ყოველ წლიურ ღალად ავიღოთ 3 ფუთი, ან 3 მანეთი. ამის კაპიტალიზაცია 6% კვალობაზე დაიქერს 50 მ. მაშასადამე ბარის ხიზანს შედარებით მთის ხიზანთან გადახდება დღიურზე ზოგან ორმოცდაათჯერ მეტი, ზოგან ასჯერ მეტი. განა შესაწყნარებელია ასეთი უსწორ-მასწორობა? ერთი დავაქციოთ და მეორე ავაშენოთ, სადაური სამართალი იქნება? მართალია, ბარის მამული სჯობიან მთისას, მაგრამ მათ შორის არც ისეთი განსხვავებაა, რომ მთამ შეიძინოს დღიური 18 კაპ., ან მანეთად, ბარმა კი 50 მანეთად და ზოგან ამაზე ძვირადაც.

განსვენებული დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი იმ აზრისა იყო, რომ ხიზნობა, უვადოა იგი, თუ საუკუნო, ყოველ შემთხვევაში უშვერი, უშესაბამო დაწესებულებააო, რუსულად: *безсрочное ли оно, или вѣчное, — во всякомъ случаѣ оно (хизанство) нехорошо.*

ისტორიული ხიზნობა არც უშვერი იყო, არც შეუსაბამო. იგი შეეფერებოდა მაშინდელ ცხოვრების პირობებს და არავის ზიანს არ აყენებდა. „ნელეზოდ“ გახდა იგი 1864 წლის შემდეგ, როგორც ნათლად აღნიშნა კ. ნ. რეიტერმა და სხვებმაც. თითქმის ორმოცდაათი წელიწადი „ნელეზურად“ იწარმოვა ხიზნობამ და რალა საკვირველია, რომ დღეს „ნელეზურად“ თავდება.

შემდეგ წერილში განვიხილავთ ილია ქავჭავაძის აზრს.

ალ. ყიფშიძე.

# შ ო რ ი დ ა ნ

## I

### ახალი კრიტიკოსი

როდესაც ახალ ავტორისაგან ხელმოწერილ კრიტიკულ წერილს შევხვდები, გულის ფანჯკალით შევუდგები ხოლმე მის კითხვას. ვფიქრობ, ეგებ, ღმერთმა ქმნა და გაგვიჩნდა მეთქი კრიტიკოსი, რომელიც წინაღვე შედგენილ აზრით კი არ მოეპ-

ყრობა საქმეს, როგორაც საზოგადოთ ჩვენშია მიღებული. არამედ სიყვარულითა და თანაგრძობით გამსჭვალული, სისტემატიურად შეისწავლის მთელს მშობლიურს მწერლობას, შეიგნებს იმ პირობებს, როგორც სუბიექტიურსა, ისე ობიექტიურს. უფრო მეტი შიაც იმყოფება იგი და მხოლოდ შემდეგ დასდებს სათანადო მსჯავრს: რაც ღირსება აქვს არ დაუკარგავს და ნაკლულევაებასაც არ გაუხვიადებს. ასევე დავიწყე ბ. გერონტი ქიქოძის წერილი. „ილია ქავჭავაძე მგოსანი და მოახროვნე“ („სახ. გაზ.“ № 887) კითხვაც რე სამწუხაროდ ახლაც არ გამიმართლდა იმედი. ეს წერილიც ჩვეულებრივ შაბლონით არის დაწერილი და თითქმის უფრო მეტ უსამართლო სისასტიკესაც იჩენს ავტორი ჩვენი მწერლობის შესახებ, ვინემ სხვა მისი წინამორბედნი იჩენდენ... „დღეს ძნელად მოიპოვება ეროვნება, რომელსაც ჩვენსავით უშინაარსო და უსუსური მწერლობა ჰქონდესო, პირდაპირ აღიარებს იგი და ამის შემდეგ აბა რალა იმედი უნდა ვიქონიოთ მისი, როგორც სალიტერატურო კრიტიკოსისა? საზოგადოდ დიდი ხანია ბედშავი ჩვენი მწერლობა იმ დაბალ ლობედ არის გადაქცეული, რომლის ადვილად გადათელვაც ყველას, ვინც-კი კრიტიკოსის როლში გამოდის, თავის მოვალეობად მიაჩნია, მაგრამ ამისთანა უკიდურესობამდის მაინც ჯერ არავინ მისულა. მართალია, თვით ბ. კიტა აბაშიძემაც ამ რამდენისამე წლის წინად რამდენიმე ფელეტონი უძღვნა რუს მწერლის არციბაშევის ცნობილ რომანის „სანი-ნის“ გარჩევას და იდეალად დაუსახა იგი ჩვენს ბელლეტრისტებს, მაგრამ ისიც-კი არ არის იმ აზრისა, რომ საზოგადოთ ჩვენი მწერლობა სრულიად უშინაარსო და უსუსური იყოს. პირიქით, ბევრი ჩვენი მწერალი შესანიშნავ მწერლად მიაჩნია, რომლითაც რუსეთში და ევროპაშიაც-კი შეეძლოთ ეამაყნათ. გარდა ამისა კიტა აბაშიძეს ყოველ შემთხვევაში იმდენი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის მწერლობის წინიშე, რომ ცალ-მხრივობა, რომელიც ხანდახან ემჩნევა ხოლმე მის წერილებს, ეპატიება და ბ. გერონტი ქიქოძე-კი, თუ არ ვცდები, პირველად უნდა გამოდიოდეს სალიტერატურო ასპარეზზე, როგორც კრიტიკოსი და პირველადვე ამისთანა უსამართლო, სრულიად დაუსაბუთებელ აზრის წარმოთქმა, მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩავთვალოს! ამისთანა აზრების მოსმენის შემდეგ ჩვენი კრიტიკოსებისგან, რალა გასაკვირველია, რომ ჩვენი საზოგადოებაც აბუჩად იგდებდეს მშობლიურს მწერლობას. გული აღარ მიუწევდეს ქართულ ნაწერების

საკითხავად, „სანინსა“ და „კლიუჩი სჩასტიას“ არ-  
ჩვედეს მათ და მწერლობაც, სათანადო თანაგრძნო-  
ბას მოკლებული, შესაფერად ვერ ვითარდებო-  
დეს?!

**ღუბუ მეგრელი.**



\*  
\*

ვიპოვე აზრი ჩაღად გდებულო,  
სულ უღირსი და მივიწყებული,  
შეგბუმბლე რითმით, შევასხი ფრთები  
და დავანახვე ქვეყნები, ზღვები.  
დეე, იფრინოს დღეიდან სოფლად  
ქეშმარიტების შიკრკად, მთხრობლად,  
რომ უმნიშვნელოდ აღარა კვდება,  
რაც ხელოვანის ხელთ ჩავარდება.

**ი. მკვდლიშვილი.**



**ჩემ პოლიტიკასე\*)**

**ნ. ნიკოლაძე**

სამი მტერი ჰყავს ქართულ განვითარებას. ერთი —  
საკუთარი-მწერლობის აზრის სიგიწროე, თუ ინერცია  
გახლავთ. მარტო ის სწამს და ახსოვს, რასაც დიდი  
ხანია შესწევია. დედა-ენის მეტი თუ რამ სჭირაა ერს,  
ბევრს როდი ესმის. მეორე უბედურება ის გვჭირს, რომ  
სჯახი, სკოლა ჯერ როდი გვაძლევს სკამათ მომზად-  
ბას. ამის გამო სხვის ლიტერატურაშიაც უფრო მხატვ,  
შემცდარს, შემდილსა და უვიც მწერლებს ვეწაივებით,  
ვიანემ თანამედროვე ცოდნით დაიარაღებულს. მესამე, ორი-  
ვესე უფრო მძიმე გასაჭირი ისაა, რომ ვიცავ ჩვენში ღირსებას  
ნამდვილი განათლების, სწორე ცოდნის შექმნას, ის როდი  
ეკარება ჩვენს მწერლობას, ან ჩვენს საზოგადო საქმეებს.  
ამ მიზეზით ესენი თათქმის ერთიანად ერთობ დაუმზა-  
დებელ „შეთაურების“ ხელშია. სულ ცოტა, ცოტა, ჩემ  
დროს ათას ვაცს მაინც გაუთავებია ჩვენგანს უმადესი  
სასწავლებელი. სადაა მთიი გაუღენა ხაღხის აზროვნება-  
ზე?

ისინი, თუ უვიცებია, წინამძღვრობდნენ არეულობის  
დროს, როცა ერის საქციელი მის ბუდს სწევებს მოელ  
მომავალ საუკუნისთვის? ცაბსკრეთ ჩენი, საზოგადოთ,


\*) იხ. „კლდე“ № 20.

იმ დროს აშბავი: მოდიოდნენ ჩვენში შეთაურად ვიდაც  
სრულიად უცნობი და უზრდელი კინტაუბი, არაგან იცო-  
და, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რეჟის ან  
აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარა მყოფი რა რეჟის  
გორი წარსული ჰქონდათ. „ამბოხებს“ დაწინააღმდეგე და-  
იძახებდნენ და უველა მათ გაჰყვებოდა. როგორც თხას —  
ცხერის ფარა. ჭკუაში არავის მოსულა, მოეთხოვა მათ-  
გან ან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფართაშებდნენ,  
სხანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მო-  
ქესლაფდნენ და გაჰქრებოდნენ.

გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მხატვდ რომ გაჰ-  
ყოლოდეს პრეფიკატორს, რომელიც ახლა, იქნება მთავ-  
რობას არწმუნებდეს, ქართველი ერი სულ ბუნტის თაყია,  
კაცი მას ვერ ენდობათ. სად გაჰქრა იმ დროის ჩასწავ-  
ლი ხაღხი, რად გაჩემდა, რატომ თავისი მოვადეობა  
არ შეასრულა ერის გაერთიანებისა, ხელმძღვანელობისა,  
თვალის ახელისა? აი ამ ჩვენებურ ცრუ ამბოხებაზე მით-  
ქვამს, სისულელეე გახლავსთ შეთქი. ბატ. ურო კი მი-  
წერს ამბოხება სძულსთ. დაღაც შეძულება უველაფერი,  
რაც ჩემ ქვეყანას ვხებს.

ზემო ჩამოთვლილი სამი ჭირის მიზეზით ანის  
ჩვენში საზოგადო აზრი, როდიდა ვის შეუძლია სულ  
უბრადო საქმის გარჩევა. ამბოხება, რეკლამიუტაა ქვე-  
ნიერობის არსებობაში ისეოივე იშვიათი „ერო-წუთი“  
მოვლენაა, როგორც უღვა, მეხი. შესაძლოა გა-  
ნა, ადამიანი სულ იმას ნატრობდეს, რომ ჭეჭა-  
ქუხილი და მეხის ტუნა განუწვეტელი იყოსთ. რომ  
სხვა ძალა ქვეყანაზე არ მოქმედებდესთ, და მედამ მეხის  
მზადებაში დევდეს თავის დონეს? განა მეხი, ფერთონა,  
მიწის-ძვრა კაცის ხელთ მზადდება? უკველია, დვირო  
ვერ დადგება, თუ შეფთიანა დუდილი არ გამოიარა.  
ტბილი რომ დუდს, მისი სიბინძურე ზედა ზირზე ქა-  
ფედ ფართაშებს, დადულების შემდეგ კი თხლედ შეიქ-  
ნება და დვინოს ძირში მოექცევა. იქაც როდა დაიტო-  
ვება, თორემ დვინოს აამურალებს და დასწახვავს. დუ-  
დილი, შეფთიანა აუდილი, ამ სიარად საქროც არის,  
კეთილ შეოფუელიც. თუ თუ აქედგან ის აზრი გამოდის,  
რომ დვინო ნიადგ უდა დუდდეს? კაი შეილიც დ-დგე-  
ბა!

ბადდს დვინის კეთებაში, რასაკვირველია, მარტო  
ქაფის ფართაში, ბუშტების ტყარა ტყუნია, მაძრათბა,  
ჩმაურობა ახადისებს და ამახსოვნდება, თორემ რა გაუ-  
გება იმ ხელის, ჭუმის, შეუმწხვეელის ხანგრძლივი პრე-  
ცედისა, რომელიც უერძინის სიტყბას სპირტად აქტევს?  
ბავშვს ეს არც კი მოეთხოვება. მკრამ რით აიხსნება  
ესრეთივე შეცდომა მოხდილისა და ვითამ განათლებუ-  
ლის მწერლის?



მარტო იმ გარემოებითა აიხსნება, რომ ჩვენი ეკრედ წოდებული „მოწინავე“ ხალხი ჯერ კიდევ მეტაფიზიკის გავლენის ქვეშ იმყოფება. აგრე განსინჯეთ, თვით ექიმებიც კი, რომელთაც თავიანთი სავსე თანამედროვე სწორი ცოდნის, ბუნების-მეტეფიკების მეთოდით შეუსწავლიათ, სოციალურ და პოლიტიკურ საქმეებზე ძველ, მეტაფიზიკურ, მოაზრებას ვერ ასცილებიან. ჩვენი მწერლობაში ბ. ი. გამართული სახინო მაგალითია ამ მხრის, რომ სოციალურ და პოლიტიკურ საკნების მასწავლებლად ახალგაზრდობას რუსეთში კანტისა და ჰეგელის მეტაფიზიკით გაუღწიოთლი მწერლები, ბუღინსკი, ჰერცენი, ჩერნიშევსკი, ლავროვი, სტრუვე და სხვ., ჰყავდა. ამ სკოლის გავლენისგან თავის დახსნა და თანამედროვე მეცნიერული ეკონომიკის თუ პოლიტიკის შეთვისება მეტად ძნელია, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ გადაუთარგმნელია რუსულად თითქმის ყველა ის თხზულებანი, რომელთა შეხებით ეს მრდი დისციპლინაც ამ უკანასკნელი ხუთმეტი, ოცი წლის განმავლობაში მეცნიერულ მეთოდზე აშენდა. აი რა მიზეზითა ბევრ ჩვენს შემარცხნეს თავი მეტად დაწინაურებულად მიაჩნია და ის კი ვერ შეუმჩნევია, რომ მისი აზრები მარტო მადდინის დროს, ამ სამოცი წლის წინად, ეპატიებოდა იმ დროის მოწინავეს; ეხლა კი მტოდნე კაცის თვალში უვიცობად ითვლება.

ბრძოლას კი არ უარვეუთ—როგორც ბ. ურო მწამებს,—ვაძობ ბრძოლას შესაფერი მზადება უნდა შეოქი, აი, მაგალითად, რა შედარებით ვხსნიდა იმ ბრძოლის უნაყოფობას, რომელიც მოწინავე რუსის მარტოამ ამ ოცდა ათი წლის წინად მოიხადა და წაავთ. ვადარებდი რუსეთის და საზღვარ გარეთელ წრეებს:

„აქ (რუსეთში) ისეთი პირები მეთაურობდნენ, რომელთაც სრულიად არაფერი გაეგებოდათ არც ფინანსების, არც ტენიკის, არც ვაჭრობის, არც თავიანთ ქვეყნის ეთნოგრაფიის. სამხედრო ან საზღვაო საქმეზე ხომ რაღა ლაპარაკი უნდა. სწავლა თითქმის ყველას ჰქონდა—რაღა ებადა—მარტო ლიტერატურული, ფილოლოგიური ან იურიდიული, ისიც ვიწრო სამსაჯულო მხრის. საზღვარს გარედ კი ყველა პოლიტიკური პარტიის კადრი და შტაბი სხვა და სხვა სპეციალისტობის საჩინო მოღვაწეებისაგან არიან შემდგარნი. პარტიებს იქ მეტად რთული სასიცოცხლო საქმეები მორიგათ უდგათ წინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე ღონისა და ცოდნის მიხმარებას თხოულობს; ამიტომაც მეთაურებს გავლენის შერჩენა ოდრიდა შეუძლიათ მარტო ფრაზების რახა-რუბით ან მიუწვდომელ სიმალისკენ ფრთების ფართობლით. რუსეთში კი თვალსაჩინო საზოგადო, თვით მწერლური მეთაურობა—თითქმის „ფიქრთ შეუფება“—ერთობ ღარიბი ცოდნის პატრონებს ებარათ. ესენი თავიანთ თავს და საზოგადოებას მუდამ მარტო იმ საკითხებზე გარდაუშლიდენ, რომელიც ვან-ვაკ რუსოსს, ან კიდევ მახე უფრო

ძველებსაც გადაღებული ჰქონდა. („Былое“, 1906, № 9, გვ. 254).

ამ გვარ ჩამორჩენაში მეთაუ საზოგადოებას, ამისთანა მეთაურების მარტონს, დიადაც არავინ ურჩევს, არა თუ სახიფათო ბრძოლას ჩინებულად გამოწყობილ მოზირდაზირესთან, სულ უბრალო საქმიანობასთან. ჩვენი (იმერელ) მეთაურებზე ბევრად უფრო გამოცდილები ჰყავს ქართლ-კახეთს. მაინც დახეთ, როგორ მიქვავთ მათ—ბრძოლას ვინ სწავის—ისეთი უბრალო, ნაცადი საქმეები, რომელშიაც მიმზადობის მეტი კაცს არაფერი სჭირია, მაგალითად: გიმნაზიის მოვლა, თეატრის, გიმნაზიის შენობის აგება, რკინის გზის გაყვანა. ხუსხა რაა, ისიც კი ვერ შეუდგენიათ სისწორით. მიზნის მიწვენას რა საშუალება დასჭირდება, ის ვერ უანგარიშიათ. ხეირიანი პირობა ვერ დაუწერიათ ბანკთან. ისიც არ სცოდნიათ, რომ რკინის გზის მოვლა, კონტესიის განხორციელება ინჟინრის საქმე კი არაა—მათ მარტო შენებას აწავლიან—თხოულობს დრმა ეკონომიურ, ფინანსიურ, იურიდიულ ცოდნას და გამოცდილებას. მოგესხებებათ, მრჩეულად მოზირდაზირის იურისკონსულტი აუუვანიათ, იმასაც ვერ მიმხვდარან, რომელ მხარეს იტავდა ეს მრჩეველი. რაღა საკვირველია, რომ ის ჩვენ მეთაურებს ვირამალაზე გადაიყვანდა? ესვე არ დაემართათ ჩვენს პოლიტიკურ უთავო მეთაურებს? მათი შეცდომისათას მაგალითი დგან ერთს მოყუვან: ახეფის ბრძანებით ბოიკოტი რომ გამოეცხადეს ზირველ სახელმწიფო სათაბორსს ამ გარემოებებში, ამ განვითარების ხალხს, ვინმე ახლობს განა ისეთ მსწრაფლ-მოქმედ საწამლავს, როგორიც სტრიქინია, თუმც ხანდახან, იშვიათად, მაწია დოზებით იგიც წამლად ვარგა? ჩვენ ხალხს ის მარდი ეგონება, ქვეყანას დაადუზვინებს. აი რა მოაზრებით გამოავთქვია ახალი მეცნიერების დასკვნა: „გონიერი კაცი და კრი თავისუფლებას, თუ ავტონომიას მით იძენს, რომ :ნგარიშისი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკურ საქმეების საშუალებათა იგროვებს უმაღლესი სახელმწიფო საკითხის საწვევტად“ (იხ. „*Meuma u Жизнь*“, XIV). ხუ თუ ამ შეურეველ დედა-აზრს ჩუბი პოლიტიკისას სინადისიერი ვინმე გადაქცევს შრომის, ბრძოლის, ავტონომიის უარყოფად, მონობის ქადაგებად, რეაქციის მომხრეობად.....

ბ. ურო ამ დედა-აზრს ებრძვის. სწერს: „კერძო პირს, დაწესებულებას ვერ შევადრით მთელ ერს, სახელმწიფოს, ესე იგი ავტონომიას. კერძო პირი მომაკვდავია, და კრი კი უკვდავია!“ ესეც მეტაფიზიკა განსჯათ. შორს რომ არ მივავითხოთ, ამერეკაში რომ არ მოგვიხდეს წასულა მთელი რასების გაწვევტის საძიებ-

ლად, მარტო ჩვენს სამზღვრებზე რამდენი ურის ხსენებაც კი გაძწვდა? წვრილმანების რომ თავი დავანებოთ, სადაღა მოძებნებიან ისეთი მსოფლიოს ხატონები, რაგორიც მიდიელები, ასირიელები, ბაბილონელები, თინიკიელები იყვნენ? ჩვენს დროს არ იყო, ჩერქეზების სახელი რომ ამოიფხიკა რუკიდან? ვინ იტყვის, ამას შემდეგ, კრი უკვდავიაო? თანამედროვე მეცნიერებს არა თუ კერძო ურის, მსოფლიო უნერჯიის უკვდავებაც აღარ სწამს: დაიღუვაო, ამტკიცებს. არ შეუტყვია განა ეს ბ. ურას? ურის კერძო ზირებისგან გაცალკეება აგრეთვე მეტაფიზიკის ნაშთია. მარტო მას ეგონა ური რაღაც განკერძოებული „სუბსტანციისგან“ არის განქილიო. სწორე ცოდნის თვალში კი ური მის კერძო ზირებისგან და მათ დაწესებულებათაგან შესდგება. თუ ესენი ცალცალკე უარვისნი ან გადატაკებულნი არიან, კრიც სუსტი, ღარიბი იქნება და დიდს ვერას მოახერხებსო.

თვით ბ. ურაც გრძობს თავის მხილებას სისუსტეს. „ნიკოლაძე მხოლოდ იტყვიდა უარყოფის ბრძოლას, საქმით კი ის მეზობელი იყო და არის. მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ბრძოლაა, თუმც ამ ბრძოლას საფუძვლად პრაქტიკული მიზანი უდევსო,“ სწერს.

ხუთე მარტო ლიტერატურული ჩემი მოღვაწეობაა ბრძოლა? საზოგადოებრივიც რომ ბრძოლა არ იყოს, ამდენი მტერი განა დაძესუდა? ხომ არ ვუწერლობდი ახლას? ხედავთ, მაინც, წაქცეულსაც მეზობიან. რომელ ზირადი მიზნის მიმდევარს განსჩინა სადმე ან როდესმე ამდენი მოწინააღმდეგე, განა თვით ამ ბრძოლის სიმწარე არ აჩენს მის სიმაღლეს? სასაცილო ისიც არას, რომ ჩვენს მეტაფიზიკოსს ჩემი ბრძოლის საფუძველი — პრაქტიკული მიზანი — ხაკლად მიაჩნია! მართალია, სიცოცხლე, ღკვევიით, მთვარისთვის ყუთში და ზუვიღში არ გამოტარებია. მიუწვდომელ ოცნების, ბრმა მიმბადობის მაგიერ მიზნად უოველთვის შექნია ჩემი ქვეყნის მორიგი საჭიროების შესწავლა, დაკმაყოფილება. ამ ჩემმა „პრაქტიკულმა“ მიმართულებამ, არა თუ ზოგი რამ გამარტებინა, ამ სცოდობას და მასუხის კებას გადამარჩინა, რომელიც ჩემ მოწინააღმდეგეების ხსოვნას საშუალო დაღად დაემჩნევა. არავინ გამობრიყვებია რხევით — რასაც ოვლობთ, რასაც გაძღვედნენ, წიხლი ჭკარით, მანანა მოკელისთ ციღამო. არავინ დამიღუპავს უსწორ, უიმედო ბრძოლაში ჩათრევით, არავის დატანჯული სახე სინიღისს არ მიმყოფებს: მე სადა ვარ, და შენ სადო? ჩემ ნაშრომში ვერავინ ვერაფერს გამოძებნას ქვეყნის შემდგენელს, მღუბველს. მას ბევრი ხაში თაობა დასტაკებია, მთვარეს რად არ უპოტინებო, მაგრამ ვინც მოწიფებულა, მიმხუდარა რომ ეს ღირსება უფთილა. და,

ბ. ურამ ამას „მონობა-მარხილება“ უწოდოს, „ბიუროკრატიის მისხურება,“ იმის დაწერაც გაძღვდა, „ნიკოლაძის ცხოვრება რაც იყო, უმჯობესია მისთვის, არ გავიხსენათო!“ რა ესმის, რა სპეტიკული უნდა ჭქონდეს სხვას ცხოვრების შემხებს? უნდა ვთქვათ, ხაშიობა ბ. ურას, იქნება გასწორდეს. თორემ ხახავს, ღაფს როდი დავაჭერებ; ცეცხლში ვურტავ თავს.

განსაკუთრებით იმით ჯიროთობს ჩემზე ბ. ურამ — ავტონომიის, ქართველობის მტერია, შავრაზმელია, ძველ თავის აზრს უდაღატაო. დროა ეს მხარეებიც გამოაკველიოთ. განზრახ ხმა არ ამომიღია შარშან ამ საგანზე: შემწამებდნენ — არჩევნების აქით თუ იქით გადახრას შეცადინობსო. ახლა კი, როცა ბრძოლა დაცხრა, უფრო გულდამშიდებით შეუძლია ვგელას ამ კითხვების განსჯა და გადაწყვეტა.

რად ვიქნებოდი ავტონომიის მტერი, როცა მთელი ჩემი მოღვაწეობა — როგორც წინად დავამტკიცე — თვითმართველობას მოვანდომე? ავტონომიაზე უოველთვის მარტო იმას ვამბობდი, რომ რასაც ჩვენში ამ სახელს არქმევენ, მეცნიერებაში „ფართო ადვილობრივი თვითმართველობა“ ჭქვია, და ჩვენც ეს სახელი რომ ვიხმაროთ, უფრო ადვილად მივაწვეთ მიზანს შეაქი. მტრობაა ეს, თუ მოუერობა?

სახელზე უთანხმოება ჩვენ ვერ გაგვირიდა. მარტო ის გარემოება გვაშორებს ერთმანეთს, რომ ჩემი წინააღმდეგეები მართლა კი არ ემსახურებიან ავტონომიას და ქართველობას, აჩვენად ხმარობენ სულ სხვა საქმისთვის, რომელსაც არა თუ არასოდეს არ მივმხრობივარ, ბავშობიღვან როგორც ხახავთ — ცხარედ ვებრძოდი, სწორედ აი ამ ავტონომიის და ქართველობის ერთგულობით. ავტონომიის (ესე იგი ფართო თვითმართველობის) და ქართველობის საქმე მარტო ღოთაღურ ნადაგზე იქნება დაცული. მას საძალადო სრულიად არა აქვს-რა. უვიღურესობა მას ერთიანად ღუზავს. ქართველობას რა საქმე აქვს „მშრომელ ჭკუფთან,“ რისი მოვანა შეუძლია მისი წყალობით? თვით ამ ჭკუფს — სხვა ქვეყნებში — მამავადი აქვს განაკონსტიტუციურ მხარეში! რა ხელი გვაქვს იმ კითხვასთან, თუ ვინ იყო მართალი ან მტყუნნი კარმავის აფეთქებაში? თრივე შავ წყალს წაუღია.

უვიღურესობის მამხრე ვერსად ასცილდება სიცოცხლემოკრატიის გულენას. ცხადვრება მარტო ამ მარტოას აწოდებს თავ უზოგავი ბრძოლის მასალად: მუშას, უქონებო, უიმედო ხაღის, რომელსაც დასაკარგავი არა აქვს-რა და უოველი ნაძალადევი მოგებას უქადის. ქართველობის მიზნები კი მარტო ზომიერების გზით მიიწვენება. ამას გარდა ვინ არ უნდა იცოდეს, თუ რა არსებითი შეურიკებლობა სუფევს ქროულ საქმეს და შრომის ჭკუ-

ფის აკობინიზმს შუა? აკობინიზმის საძირკველი, ან-  
რდი, მისი შინაარსი ცენტრალიზაცია არის ე. ი. ეს  
აკობინიზმია, რომ ცდილობს ადგილობრივი თვითმარ-  
თველობა, ზრავინციადური სხვა და სხვა ფეროვნება,  
კერძო ერება და მხარეები ბრძადა დაუმთნოს ერთ მოთა-  
ვე ძლიერებას. აკობინიზმი არ იყო, ერთიანად რომ  
მოსმა საფრანგეთში უოველი წამთი კროვნული თვით-  
ცნობისა და ფედერაციის საქმე სისხლის მორეუში ჩა-  
ახრის? დიდი სამეოფების მკედელია ჰაწია ერს განა უმ-  
ველის?

ეს იმედნად სწორი, უტყუარი ჭეშმარიტებაა,  
რომ უოველთვის, როცა ჩვენში რამე ნამდვილი კითხვა,  
რეალური საქმე გზნდება, იმ წამსვე მტკიცე „ბლოკი“  
იკვრება ამ რის ვითარებ მტერს, სოციალ დემოკრატებს  
და ფედერალისტების შუა. მათი უკიდურესობა მათგან  
ერთ ზარტას არდგენს, დასარჩენი საზოგადოების წინა-  
აღმდეგ. მათი ცრუ ბრძოლა ცარიელი თვალთ-მაქცობა,  
ხალხის მოტყუებაა. რბივე ზარტია თავის მიზანს, სახ-  
სარს, ზრავრამას, ხელმძღვანელობის ჩვენში და ჩვენს  
საჭიროებაში კი არა, სხვაგან ეძებს და მოულობს, ისეთ  
უცხო წრეებსა და მიმართულებებში, რომელთაც ქართველ-  
ლობისთან არც საერთო რამ აქვთ, არც არავითარი მსგა-  
ვისება. ცარიელი უკიდურესობის მტკი მათ არაფერი ამო-  
ქცედებს. არა თუ წინასწარმეტყველებს, დიდი ანგარი-  
შიც კი არ სჭირია მცოდნე კაცს, მისახვდამათ, — ამ რ  
უკიდურესობისაგან რომელი მოერევა და შთანთქმის შე-  
არეს? რასაკვირველია ის, რომელსაც უცხოეთში უფრო  
თვალსაზრის უკეთ გაწვრთნილი მაგალითი თუ ხელმძღვა-  
ნელი ახდია, მინ კი მტკი და უფრო სანდო მასადა  
კგულება, ისეთი მასადა, ვისაც მთა და ბარის გასწო-  
რება არა თუ არას ავნიებს, კიდევ არგებს.

ახლა თვით უკიდურესობაზე უნდა გავიმხილოთ ამ  
დროის მეცნიერების მოძღვრება. უკიდურესობა ზარტო  
მანამდეა შესანდობი, სანამ ხალხის დაბალი, უმეცარი  
წრეების დეპობას, წრთვნას, ამაღლებას ემსახურება, სხ-  
ნამ მოსამზადებელი შოლის რაღს ასრულებს ერის პოლი-  
ტიკურ ზრდაში, ისიც იმ პირობით, თუ მოწაფეს საუას-  
პოსკენ არ იტყუებს. ვერ დაიოვლის ადამიანი, თუ, ასეთ  
უკიდურესობას, რამდენი უბრალო მუშა ხელ-ხელა, შეუძ-  
ნეულად ჩინებულ, სასარგებლო ბურჟუაზ გადუქცევია,  
არა თუ ევროპისა და ამერიკაში, თვით რუსეთსა და ჩვენ-  
შიაც. მათგანი ზოგი კიდევ მინისტრობს, ზომიერების  
ბურჟუაზ ხდება. აი, თუნდ ბრძანი, საფრანგეთის ამასწინ-  
დელი მოთვარ მინისტრი. სულ სხვაა უკიდურესობის ატა-  
ნა საზოგადოების მაღალ წრეებში, რომელთ დანიშნულე-  
ბაა ქვეყანას ჭკუით, ცოდნით, ზნეობით ემსახურონ, და  
არა მუსკულებით. ამ წრეების უკიდურესობა ნიშნია,

რომ დირსი არ უოფილან მაღალი დანიშნულების, ხალხს  
უთავოდ სტოვებენ. მათი უკიდურესი მიმართულება ერს  
ამდაბლებს. კიდევ რუენის, რადგანაც ჰოლს, ტყუება,  
მაღლა საკუთარი უფარვისობის. ნუ რა უკიდურესობისადაც,  
ბანკირის, მრეწველის, ქალაქის-თავის, ლენინის უკიდურ-  
ესობისა, ხურას ამენებთ ისეთ უნდობ საძირკველზე,  
როგორსაც თავის ხელისობის უარმეოფი შეადგენს. მტკი-  
ცად იცოდეთ — ის ჩვენური კინტოა, ზრავრამატობს,  
გაჭირვების დღეს „მიიმადება“, გაბრიყვებული ხალხის  
შწარე ბედს არ გაიზიარებს.

რაც უფრო წინ წავა ხალხის პოლიტიკური გამ-  
ცდილება, ეს ჭეშმარიტება თან და თან უფრო მეტისთვის  
ცხადი შეიქმნება, რომ ქართველობას ამ მიმბაძვ უკიდურ-  
ესობისაგან არავითარი სიკეთე არ მოეღის. აი, ამ ურ-  
გებ, მუნე უკიდურესობის მიზნით იძულებული გავხდი  
მეფიქრა, რომ ავტონომიაც, ფედერალიზმიც, ქართველ-  
ლობაც, „ტაკტიკისთვის“ დაუჩებობა ამ მკვრად-ჩამობ  
ზარტას, რომელსაც ქართველობისთან ბუნებრივი კავში-  
რი თავის დღეში არცა ჭქოსია, არც ელი რება.

მოგახსენეთ, ვერ გამოვია, რა ნამდვილი ძალა  
სხობს შეურიგებულ წინააღმდეგობას „ძრომის ჭკუფის“  
აკობინიზმსა და ფედერალიზმს შუა. თვით ეს ფედერა-  
ლიზმიც გაუგებარია ჩემთვის. ვინ არ იცის, ის კავში-  
რია თანასწორ, თავისუფალ სახელმწიფოების შუა. მაშა-  
სადამე, ის ან რი საუკუნით დაგვიანებულა ჩვენ იყავს, ან ერთი  
საუკუნით მაინც საადრიაა. ამ გვარ კავშირის შესადგენად  
მარტო ერთი მხარის სურვილი რაღა კმარა, საჭიროა  
უველასი თანხმობა: სხვებსაც უნდა უნდადეს და სახიროდ  
უნდა მიანდეს ჩვენთან დაკავშირება. „ზარტის“ ზრავ-  
რამა ამ მხრით ნუ თუ არ გავიხებთ იმ „ჭვენახელობის“  
მსხვერპლს, რომელაც ახირებს — მზეთუნახავ ბატონი-  
შვილს ვირთავო, და ამ ცნებით თავს ირთობს, იღუ-  
პავს? შეირთავს დიდაც, მაგრამ ისიც ხომ უნდა იკით-  
ხოს — მზეთუნახავი იკადრებს, მიაკარებს, შეიუვარებს,  
გაჭუვებს? კიდევ რომ გავიფდეს და შეირთოს, შეუძლება  
ამ ვაუბატონს მისი შესაფერა რჩენა, მასთან თანასწორი  
განწყობილება? ჩემი ქონების ზატრანმა რომ დავიყინო:  
როტმიდდასან, მორგანთან, რაკიუელერთან, ვანდერბილდ-  
თან ერთად ამხანაგობას შევკრავ-მკოქი, როგორ ფი-  
ქრობთ, სრულ გონებითანად ჩამოვლის ვინმე? მათი ამ-  
ხანაგობა ჩემთვის, რასაკვირველია, სასარგებლოც იქმნე-  
ბა და სანეტაროდ, მაგრამ ისინიც გამიტოლდებიან განა?  
ეს რომ გაუმხილო მათ, განა ზანდურის ცემით არ გამ-  
ხეთქენ? ხალხს ასეთი ჩემი პრეტენზია განა სასაცილოდ  
ეოფა?

ასეთ აბსურდამდე მათორევეს ზარტას მიმბაძობა,  
სინამდვილის დავიწყება. ისეთი ზრავრამის შედგენას,

რომელსაც თვალახელით, გულწრფელად: ბოლომდე, გამწარებულის მეტი ვერვინ გაჭევიდა, სხვა შედეგი არ ექნება ქართველობაში, ამიტომ რომ გამწარებულების, უიმედოთა რიცხვი ერთ ხეობის პარტიასაც ძლივს ეფინის ჩვენში და მართლა გამწარებულს კიდევ ჭევიდა თავის შესაფერი პარტია. ქართველობას ამ პარტიასთან კონკურენციის გაწევა არ სჭირდა: რაც მივ გონიერია, ის მიაწიფება თუ არა, უმეტესობათაც გაქართველებსაც ისევე ვერ ასცილდება, როგორც გაბურულებს. დანარჩენს, სულ ერთია უკიდურესობათაც ხომ ვერ გადაშობიარებთ: მათი წრე სხვასკენ მიითრევის. მაგიერად უკიდურესობა, რომელიც არას გძენთ, ქართველობის ცნობა-მკათედს გაშობრებს. ვინც თავზე ხელადებული არა, თან და თან უნდა ჩამოგრილდეს. თქვენი წარმომადგენლის „მომხმარებელი“ ჩაჯდომას მართლ ეს შედეგი ექნება, სხვა არაფერი: თქვენს გაუფრთხილ გარეშე დარჩება ის უმრავლესობა ერისა, რომელიც, დღის მადლით, უიმედო არაა, რისიმე პარტიისა, რამე სცის, შეცდინებებს თავის თავისთვის, ოჯახისთვის, ქვეყნისთვის, და, თუმც უსწორ მასწორად ბრძოლას ერიდები, სამშობლო ეხას, სხელს, ეროვნებას, ქვეყნას მაინც გულწრფელად, შეიღობრივად, ბუნებრივად სიყვდილად თავიანთ სტუმრებს ხიბობს არაა, ასეთი ციფხალი მასალა პარტიას თავაწინს ჭქონდეს და მისი გაწრთვნა არ შეუძლოს სადი პროგრამით? მსუღია-თუ ასეთი პროგრამის შედგენა ჩვენივე სწინაშეს მიხედვით? რა უფლება გვაქვს განთნით მონიჭებული, რა საშუალებაც მათთვის ჩვენივე წარსულს ან ბუნებას, გონიერად ვახმართ ქართველობის მდგომარეობის გასუმჯობესებლად, მსეთუნხავ ნეტარებაში კი არა, სხვა, განათლებულ ქვეყნებში ჩადა სიკეთეში. ვინც გონება დაჭდარი ქართველია, ყველა გაჭევიდა ამ დროშას, ვისაც ქართველობის შევლა უნდა, მან თავისი პოლიტიკური გეგმა უნდა შეამსუბუქოს, ეგებ რაც შეიძლება უფრო მეტ ხალხს ერთი და იგივე ხამდევი პრაქტიკული მიზანი ადენიძნოს, მისთვის გასაკები და სჭირდ. მართლ ეს შეგვძენს მტერ მოვერის ეურადლებას და მორიდებას. ჭერ ამას უნდა ვეძებდეთ, და არა მიუწდომულ კომპიდგან მსეთუნხავის მოტაცებას, რომლისთვის თოკის კიბეც კი არ გვაბადია. სანამ ამ კომისის სინამდვილის კი არა, სურათის — უურებით თავაღვის ვიციფუბთ, ვერ ხედავთ სოციალ-დემოკრატია რა ქულაჯამი ირთება, რა ბუნების ქუდს თავზე იკეცს, რა თავადს უბრიალებს ხამდევი თქვენს დანიშხულს? ცნების გამყოფი აუცილებლად ქონებასაც ჭკარგავს. თქვენ პარტიასაც ეს მომავალი ელის.

ამაებს ვფიქრობ ჩემთვის, მიტომ რომ არ შემიძლია სხვაფერად ვიფიქრო. როდი ვქადაგობ ამ აზრებს.

მარტა, როცა ვინმე ჩემზე მტრულად სტუევის და ცილს მყრის — ქართველობის მტერია — თავს ვამართლებ ხოლმე თქმით: მტრობამ კი არა, სიუკარულმა მიმიყვანა ამ შეხედულებაში-მეთქი.

უგანსკელი მხილება — ისიც ცილად ჩანს, — დაგვჩნა გასაქარწყლებლად: იცავდა ამ თავის უწინდელ რწმენას უღალატა, მაწინავე შავრა'ხმელად იქცა.

ოცდა ერთი წლის ემაწვილი განდღით, როცა ჭერტენის „Колокол“-ში (№ 199, 1 ივლისს 1865, გვერდი 1632) აი რას ვურჩევდი ქართველობას. ვთარგმნი სიტუკას-სიტუკით:

„ნაციონალური მისწრაფების გადაქარბება საქართველოში იმ საყასპოში ურგავს თავს, საცა ეხლანან ტყავი გააძრეს პოლშას და სისხლი დაუშვრეს ჩერქეზებს. ვეროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალყიროვით (ესე იგი მკვიდრისთვის უფლება-მიუნიჭებლად! დამონებენ, ან ინდო-ჩინეთით ცარცვას დაუწებენ. ეს გვბდება, თუ ნაციონალურ მისწრაფებას კეთილი ბოლო მიეცა. რა შედეგი მოქყვება უბედურ ბოლოს, და რამდენად ეს უფრო მოსალოდნულია ბედნიერზე, ეს ყველასთვის ცნალია...“

„ამ მოაზრების ძალით ვფიქრობთ, რომ საქართველოს ბელის თვით ეხლანდელ რუსეთთან გადაწნა უფრო მალე გააუმჯობესებს მის მდგომარეობას, ვინემ რომლისაჲც სხვა ევროპიელი ნაციის კავშირი ან მფარველობა (მფლობელობაზეც რომ არა ვსთქვათ რა). ოსმალეთი ან სპარსეთი აქ ხომ სახსენებელიც არაა. საქართველოში მათზე არც ერთი ქვეყნალი ადამიანი არ ფიქრობს“.

აი, ჩემი მუდმივი რწმენა და პოლიტიკა. ან ჩემ ნაწერებში ამის წინააღმდეგი აზრი უნდა გამოძებნოს სადმე ბ. ურომ, და მოიუგანოს, ან უნდა გამოტედეს, მე კი არ ვუთუილვარ ჩემი ძველი რწმენის მოღალატე, მას თვითონ უღალატია სინადისისთვის.

თუ ოცდა ერთი წლის ჭბუკს ამების ანგარიშობა შემძდო, სიბერეში შეკადრება განა აზხერსეტდე და ისეთებს ავეყ; ვინც შეიღს 'ხეთ ყვდარ სოვდის? ეს ამონაწერი ამტკიცებს, რომ ყოველთვის იგივე ვუთუილვარ, რაც დღეს ვარ: ერთგული, ანგარიშიანი მწეკმისი ქართველობის სიკეთისა, შეურიგებელი მტერი ყოველი მიმართულებისა, რომელიც საქართველოს ქონებას სხვის, უცხოეთის მიზანს, თუ საქმეს, სწირავს.

ერთი კი წამცდა. ამ ჩემ მიმართულებას ჩემი პოლიტიკა დავარქვი. ჩემი მივ არაფერია, მისი გამოკველვის, გასხეების, განათების მეტი. ქვეყნის პოლიტიკას — როგორც მის ბუნების ხამდევი ძალეს — ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალ მოდური მლიანკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჭვიდია, ისეთავე ტრადიციული, უცვლელი, მამა-მამური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი-ზღვიდან

გასავალი სრულე თსმალის ხელშია, სხნამ სამხრეთით  
 თსმალეთი და სხარსეთი გვარკის, აღმოსავლეთით — ლე-  
 კი და თათარი, ჩრდილოეთით — რუსეთი, ბევრად რომ  
 ვიწროალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილებით, რომე-  
 ლიც აურხევით საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი  
 ცდის, ძებნის და მსხვერპლის შექმნეგ. უკეთესია რომ  
 შესაძლო ვოფილიყო, განა მათ დაემალებოდა? ჩვენსუ  
 ცოტად სწუერთადათ: ვითომ, დამოუკიდებლობა, სეკუთა-  
 რი გვარგვანი ჩვენსუ ხაკლებ უუვარდათ? ხაძებნი გზა  
 ჩვენს: ვით დასშულა როდა ქქონდათ, უფლებებ სისრუ-  
 ლით ხელთ-უბურათ, ვისთანაც უნდოდათ საქმე დაეკავი-  
 ბათ, კავშირი შეეკრათ, ბრძანებისამებრ მოკლი ქვეყანა  
 მიმოვლეს მათმა ეღჩებმა, სამეუთა არსად დარჩენათ,  
 რომელთანაც მოლაპარაკება არ ეკმართათ, დაახლოვება  
 საქართველოს სახსნულად არ ეცადათ. სხნამ საბოლოო  
 გზას დაადგობდნენ, სხნამ გვარგვინს ურის არსებობას  
 შესწირავდნენ, უოკული საშუალება სინჯეს, უოკული ღო-  
 ხის-ძიება იხმარეს; თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჭ-  
 ზირდენ რომის პაპს და სურვიდნის დიდს. უცრემლოდ  
 ვერ გადაკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის შეცვლინების  
 აღწერას მატანებში. რაც ამდენს, ამისთანა თაობას  
 აუგია, აუცილებლად უცვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, გინდ  
 ერთი თაობა ვერ შესცვლას. სხნამ თსმალის, ან სხარსე-  
 თის ადგილს რომელამე სხვა რასსა ან შეუობა არ და-  
 იჭერს, საქართველოსთვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ  
 იარსებებს, იმის გარდა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ,  
 იძულებით, საქართველოს უგონიერესი მატრანები:  
 ალექსანდრე კახელი, ალექსანდრე იმერელი, ვახტანგ  
 კანონმდები, თეიმურაზ მეორე, სოლომონ დიდი, დიდი  
 ერეკლე. რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდეკები გას-  
 ტება, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ  
 მოვერუვით. როგორც უჩუოფოდ, უკვადოდ, უსახელოდ  
 დაიდუბა უოკული სახსარი, მათ დროს სხვა რამე მარ-  
 ხისკენ მიმართული, ისრევე წყალ-წაღებულთა უკვალა სხვა  
 შეცვლინებაზე ხანძარი საშუალება. ბუნების წინააღმდეგ  
 უოკული ცდა ამათა და სსსტიკად იხვეება

ამიტომაც ქვეყნის მოლაპარაკე და დამდებელი მარ-  
 ტო ისაა, ვინც ამისთანა წინაპრების მტნებას უნდა  
 მოძღვრობისთვის იუიწუებს. და ან შემდგომ მოძღვრე-  
 ბას ალვის საქართველოს უმჯობესს უკანასკნულ ძა-  
 ლას.

# კავკასიელ ქალთა საზოგადოება



აგერ ორი-ხუთი წელიწადია, რაც თბილისში  
 დაარსდა ეს უზიად საინტერესო და საჭირო საზო-  
 გადოება, მაგრამ ქართველები ძლიერ ნაკლებად ვი-  
 ცნობთ და როგორღაც გულცივად მივიღეთ ეს სიმ-  
 პატიური საქმე. ამ გარემოებაში პრესასაც თითქმის  
 ხმა არ ამოუღია და როგორღაც უყურადღებოდ  
 დასტოვა ეს პირველი ნაბიჯი კავკასიელ ქალთა  
 შეკავშირებისა. ქართველნი ქალნი რომ საზოგადოათ  
 იმდენად ინდეფერენტნი ვართ, ხომ თითქმის ვერცკი  
 გავიგეთ, რომ ეს საქმე ჩვენ, ქართველ ქალებს, რო-  
 გორც ერთ უდიდეს კავკასიელ ეროვნებათა წარმომად-  
 გენლებს პირდაპირ გვავეალებდა თვალის გახელას  
 და ამ საზოგადოებაში ჩვენის ეროვნებათა წარმომად-  
 გენელთათვის საპატიო ალაგის დაჭერას გვი-  
 კარნახებდა.

ნათქვამია: „თუ მოტირალი არ ტირის, მობა-  
 ნეს რა თავი სტკივაო“, და სხვა კავკასიელ ეროვნე-  
 ნების ქალებმაც, რასაკვირველია, დიდად თავი არ  
 შეიტკივეს და არ დაგვიანტერესეს ამ კავკასიელთა  
 საერთო საქმეში.

ქართველ ქალებში კი დიდი ხანია არის მოძ-  
 რაობა; სურვილი ქალთა ორგანიზაციის შექმნისა.  
 ბევრჯელ იყო ამის თაობაზედ კრებები, მსჯელობა,  
 თათბირი: ერთხელ საქმე ქალთა კლუბის მოწყობი-  
 სა, თითქმის მოგვარებულიც იყო, მაგრამ სხვა და  
 სხვა მიზეზებისა გამო ვერ მოხერხდა ამის განხორ-  
 ცილება.

წელსაც კვლავ აღიძრა ახრი ქალთა ორგანი-  
 ზაციის შექმნისა; რამდენიმე ათეული ქალი შეკ-  
 რიბა, იბაასა, იმსჯავრა და თავიანთ შუა აირჩია კო-  
 მისია, რომელსაც დაავალა ამ საქმის განხორციე-  
 ლება. ამ კომისიამ კარგა ხნის მოთქმების და თა-  
 თბირის შემდეგ, გადასწყვიტა შეერთებოდა კავკასი-  
 ელ ქალთა საზოგადოებას და დეეკავებინა ნით შუა  
 ის ადგილი, რომელიც დიდი ხნიდგანვე უნდა სჭე-  
 რიდა, თუ უნდოდა რომ კავკასიელ ქალთა შუა  
 ქართველ ქალსაც სჭეროდა თავისი ადგილი და ამ  
 დაგვიანებულის, მაგრამ აუცილებელის შეთანხმების-  
 თვის გამართა ლაპარაკი კავკ. ქალთა საზოგადოე-  
 ბის მართველობასთან.

ზემოხსენებული კავკ. ქალ. საზოგადოების მარ-  
 თველობა დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ სურ-

ვილს ქართვ. ქალებისას და იმდენად დიდ მნიშვნე-  
ლულად ჩასთვალა ეს წინადადება, რომ გადასწყვი-  
ტა მოეწვია საზოგადო კრება. საზოგადო კრებამ  
თავის მხრივ აირჩია კომისია და დაავალა ვაცნო-  
ბოდა ქართვ. ქალთა კომისიის წარმოდგენილ პი-  
რობებს შეერთებისას.

შეერთებულმა ორმა კომისიამ გადასწყვიტა შე-  
დგინა შემდეგი პროგრამა შეერთებისა:

ქართველი ქალები შევლენ „კავკასიელ ქალთა  
საზოგადოებაში“, როგორც თანასწორ უფლებიანი  
წევრნი და შეადგენენ დამოუკიდებელ ქართულ  
სექციას, რომელიც იხელმძღვანელებს საზოგადოე-  
ბის წესდებით.

1) ქართველ სექციაში შესვლა შეუძლიან სექ-  
ციის თანხმობით კავკასიელ ქალთა საზოგადოების  
ყველა წევრს, ვისაც აინტერესებს და შეუძლიან  
(იცის ქართული ენა) სექციაში მუშაობა.

2) სექციის დაარსებისთვის საჭიროა არა ნაკ-  
ლებ ოცის წევრისა. სექციის კრება კანონიერია,  
თუ კრებას ნამდვილ წევრთა 1/3 დევსწრება.

3) ქარ. სექციას აქვს უფლება თავიანთ შო-  
რის აირჩიოს ერთის წლის ვადით სექციის გამგეო-  
ბა შეიდი კაცისაგან და ორი კანდიდატი. გამგეობა  
თავის შორის ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანს და  
ხაზინადარს.

4) სექციის და გამგეობის კრებები ინიშნება  
საჭიროების დაგვარად თავმჯდომარისაგან, ან ხუ-  
თის წევრის განცხადების თანახმად.

5) სექციის გამგეობის წევრების ვინაობა უნ-  
და ეუწყოს კავკასიელ ქალთა საზოგადოების გამგე-  
ობას.

6) გამგეობა სექციისა გზავნის „კავკ. ქალ.  
საზოგ.“ გამგეობის კრებებზედ ორ წარმომადგე-  
ნელს ამ წარმომადგენლებს ევალებათ: აცნობოს სა-  
ზოგადოების ცენტრალურ გამგეობას სექციის დად-  
გენილებანი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგე-  
ბოდეს საზოგადოების წესდებას.

7) ქართულ სექციის ყველა პრინციპიალური  
დადგენილებას ამტკიცებს ცენტრალური გამგეობა.

8) სექციის სახსარს შეადგენს: კავკასიელ ქალთა  
საზოგადოებისგან დანიშნული განსაკუთრებული თან-  
ხა, რომელიც შეტანილ იქნება წლიურ საერთო  
სმეტაში და ხელშეუხებელი სექციის თანხა, რომე-  
ლიც იქნება კერძო პირთაგან მარტო სექციის  
საჭიროებათათვის შეწირული.

9) სექციის გამგეობა ხარჯავს თავის თანხას იმ  
სმეტის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საზოგა-  
დოების საერთო კრება.

10) სექციის საჭიროების და გვარად ეძლევა  
ყოველ თვიური ავანსი.

უცხადებს რა ამ პირობებს კავკასიელ ქალთა  
საზოგადოებასთან შეთანხმებისას ქართველ ქალთა  
კომისია საზოგადოების, იმედოვნებს, რომ სექცი-  
ქალთა შუა მრავლად აღმოჩნდებიან მსურველნი,  
რომელიც შევლენ წევრებად ზემოხსენებულ სა-  
ზოგადოებაში, რათა ქართულს სექციას ხელი შე-  
უწყონ და მისცენ ძალა მოქმედებისა ქართველ  
ქალთათვის კულტურულის საქმეების მოწყობისა.  
ამ გვარი შეთანხმებულის და წარჩინებით მუშაო-  
ბის მაგალითი ქართველებს უკვე გვაქვს — სახალხო  
უნჩვესტიტეტის ქართული სექცია, რომელიც  
სრულიად დამოუკიდებლად და დიდის წარმატებით  
ასრულებს თავის სრულ ეროვნულ სიქმეს და შე-  
თანხმება სხვა ეროვნებათ წარმომადგენლებთან, თუ  
არ ამშვენებს და არ აძლიერებს, ხომ არ აფერხებს  
და ხელს არ უკრავს.

ვინც თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს და  
ვისაც შეგნებული აქვს ყოველი შეკავშირებულის  
ორგანიზაციის მოქმედების ძალა, უეჭველია, ჩე-  
წერება წევრად ზემოხსენებულ საზოგადოებაში და  
და მისცემს საშუალებას ქართველ ქალებს დაუ-  
ყოვნებლივ შეუდგნენ ქართველ ქალთა ორგანიზა-  
ციის მოწყობას.

წევრებად ჩაწერვა შეიძლება ქართველ ქალთა  
ამხანაგობის სამკერვალო სკოლის სადგურში, ნაკა-  
დულის რედაქციაში და კავკასიელ ქალთა საზოგა-  
დოების კანცელარიაში.

ეკ. გაბაშვილისა.

## საზოგადოება „კახეთის“ შესახებ

(გ წინამძღვრიშვილის წერილის გამო)

არ შეგვიძლიან არ დავეთანხმით პ. წინამძღვა-  
რიშვილს, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა სა-  
ზოგადოება „კახეთის“ ინტერესების დასაცველად  
მცოდნე და დახელოვნებული ინსტრუქტორი ადგი-  
ლობრივ კახეთში იყოს, ვინაიდან კარგი თვისება  
ღვინისა, თუ სავსებით არა, ნახევრად მაინც დამო-  
კიდებულია მის მოვლა-შენახვაზედ, რასაც ამ თამად  
არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული.

არავისათვის ახალი ამბავი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ღვინო ისეთი აზიზი საქონელია, რომელიც მოითხოვს უზომო სიფაქიზეს და თავის დროზე გადაღებ გადმოღებას. ყველა ამისათვის კი საქიროა ადგილობრივ მკოდნე დახელოვნებული ჰირი. ინსტრუქტორი, რომლის მოვალეობადაც ჩაითვლება, როგორც ღვინის მოვლა-შენახვა, (უფროს სარდაფის მიბაძვისამებრ ქ. თბილისში) აგრეთვე მისი დაყენება და ავადმყოფ ვაზის წამლობა.

ამ შემთხვევაში ღვინის „მიმღები“ (შეიძლება იგი იყოს არა ინსტრუქტორიც) იმოქმედებს მეღვინის, გამგეობის და ამ ინსტრუქტორის წინასწარ შემუშავებულის ინსტრუქციით.

აქ საზოგადოების ყურადღება უნდა მივაქციო ერთ გარემოებას: დღევანდლამდე ხსენებულ წარმოებაში მოსამსახურეთა შორის უპირატესობა ეძლევათ გარეშე პირთ. მე გასაკვირველად მიმაჩნია ეს არა ნოლმალური მოვლენა, მაშინ, როდესაც ყველა მომქმედნი, როგორც განყოფილებების გამგენი, აგრეთვე კანტორებში მოსამსახურენი და სარდაფებში მომუშავენი უნდა ინიშნებოდნენ საზოგადოების წრიდან. წვერი, ანუ ამხანაგი საზოგადოებისა, მოსამსახურე იგი; თუ მუშა, დაინტერესებულია ყოველ მხრივ, იგი ცდილობს წარმოების კეთილ დღეობისათვის, გაფართოებისათვის, რადგანაც მისი წინ სვლა, მისი კეთილ-დღეობა მას ახარებს, მისი მოგება მას ჰმატებს, მხოლოდ ხარალი კი მას აღონებს, აჯაჯრებს. მისი წაგება მას აკლებს, ერთი სიტყვით, თვისი წარმოება მას ახალისებს, ამოქმედებს, მაშინ როდესაც გარეშე პირი ამ საქმეს გულ-გრილად უცქერის და გარემოება საქმის მსვლელობისა მას ნაკლებად აინტერესებს.

ჩვენ კი რასა ვხედავთ? ვადაავლეთ თვალი ხსენებულ წარმოების მომქმედ პირთ და დაინახავთ რომ ოცში ერთია წვერთაგანი, ერთია გულ-შემატკივარი საქმისა, დანარჩენი ცბრამეტი გარეშეა, რომელნიც თავ-შეუწუხებრივ უცქერიან წარმოების სუნთქვას.

შეიძლება წარმოვიდგინოთ კიდევ რომ კომერსანტი მეღვინე, ინსტრუქტორი, ბუღალტერი, რომელნიც საქიროებენ სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას, არ მოეპოვებიან ჩვენი წარმოების ამხანაგთა შორის, მაგრამ დანარჩენი ფუნქციების შესახებ რაღა ითქმის, ეს ხომ ადვილად შესაძლებელია!

რამდენადაც მახხავს, ხსენებული კითხვა წინადაც ყოფილა ხოლმე აღძრული და საზოგადოების

კრებისაგან მიღებული, ამისთვის საქიროს ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არას და თუ ეს კითხვა ჯერ დაკანონებული არ არის არც შესაძლოა, მომავალ კრებაზე მაინც იყოს წამოყენებული, რომელიც, უეჭველია, დაადასტურებს ამ წინადადებას და რამდენადაც შესაძლებელად დაინახავს, ეცდება განახორციელოს ხსენებული მოსაზრება.

სახ „კახეთის“ ერთი წვერთაგანი დ. გამყრელიძე.

## თავ.-აზნაურობის

### საგანგებო კრება

კახეთის რკინის გზის ისტორიას კიდევ ერთი უცნაური ფურცელი ჩაერევა—თავ.-აზნაურობის უკანასკნელი საგანგებო კრება, რომელზედაც ყოველმხრივ სწეწდნენ იმ ხელშეკრულობას, რომელიც აპრილს დასდო დ. გურამიშვილმა რუსეთ-აზიის ბანკთან.

უმთავრესი საგანი კრებისა, როგორც ლოლიკა მოითხოვდა საქმისა, ის კი არ იყო, მივიღოთ თუ არა ეს ხელშეკრულობა, ის კი არა, დავაგვირგვინოთ თუ არა თავ.-აზნაურობის და მასთან მთელი ქართველი საზოგადოების წადილი, რომ კახეთის რკინის გზა ჩვენს ხელში იყოს, — არამედ სრულიად უმნიშვნელო, გროშის ფასად არ ღირებული იურიდიული დავა: სავალდებულოა თუ არა ასეთი ხელშეკრულობა ფორმალურად, იურიდიულის თვალსაზრისით.

ეს იყო ტურნირი, ჯირითი ჩვენი იურისტებისა და არა საფუძვლიანი განხილვა და განსჯა ფრიად მნიშვნელოვან საკითხისა: ხო თუ არა, გვინდა თუ არა დამოუკიდებელი გზა. ყველა ერთმხრივ აღიარებდა, რომ კახ. რკ. გზის დამოუკიდებლობა სასურველია, მაგრამ ამავე დროს ზოგნი გულწრფელად და ზოგნიც განგებ ამ სურვილს სიბნელეს ახვეკდნენ.

არც ერთ მათგანს, ვინც კახ. რკ. გზის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო არა ჰქონდა არავითარი საბუთი და ამიტომ იძულებულნი იყვნენ თავისი მსჯელობა დაემყარებინათ უსაფუძვლო შიშზედ, რომ თავ.-აზნაურობა დაჰკარგავს იმასაც რაცა აქვსო, ან და იურიდიულ ხრიკებს ეჭიდებოდა. ერთმა მათგანმა ისეთი საოცარი, თვალში საჩხერი

რამაც კი მოიგონა, რომ თავ-აზნ. ვერ იხდის 820 მანეთს ვალსაო. ამისთანა საბავშვო ამბებით აშინებდნენ კრებას: ბუა ნოდისო.

ნოვისბინეთ რამდენიმე იურისტის მკურმეტყველური სიტყვაც, მაგრამ ამ სიტყვებმა უფრო ნათელ ჰყვეს, რომ საკითხის გადატანა ამ სფეროში სრულიად უნიადგოა. ყველა მათგანი **კატეგორიულად** ამტკიცებდა, შეუძლებელია, რომ სწორედ მისი მოსახრებაა მართალი და ყველანაირ ერთგანეთს კი ეწინააღმდეგებაოდნენ დიალექტოლოგობა: **გ. რაცხილაძე** ამტკიცებდა, რომ ავღ-მკოვლობა სავალდებულოა **ყოველმშემახვევაში**; ი. აფხაზ, რომ იგი სავალდებულო გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც **დებუტატთა საკრებულომ დაადგინა—მაგილოთო**. ამ მოსახრებას მივბარო **მ. ალექსი მესხიშვილიც**. ი. ბარათაშვილი არა ნავლენებს რიხით და საბალოთოდ სწყუტდა, რომ ხელმეკრულობა **სავალდებულო არ არის** და ვერც არავინ დაგვაძლებს მივიღოთო. ალ **ყანჩელი** ხომ უფრო შორს მიდიოდა და მასხარადაც კი იგდებდა ი. აფხაზს, რომ იგი **ახლა** სცნობს სავალდებულოდ იმას, რასაც წინად არა სცნობდაო.

ჩვენის აზრით, ი. აფხაზს კიდევ ჰქონდა რაიმე საბუთი, რადგან დებუტატთა საკრებულომ მართლაც დაადასტურა დ. გურამიშვილის პირობა, მაგრამ რა საბუთითა ხელმძღვანელობდა თვით მ. ნი ყანჩელი, როცა იურიდიულ კომისიაში ამტკიცებდა, რომ ხელმეკრულობა **სავალდებულოა** და კრებაზე კი აყვას გვიხვევდა: **არ არის**.

და რამდენად გულწრფელი იყო ამ ამტკიცებაში, სჩანს იქიდანაც, რომ ბოლოს, **მისივე** ოჩევით, აირჩიეს ახალი იურიდიული კომისია, რომელსაც წაუშობლვარა ასეთი სიტყვა: „ვინაიდან იურიდიული მხარე მეტად რთულია და ნაზია (ТОНКАЯ), **საკამათოა**, გადავედეთ უფრო კომპეტენტურ კომისიასაო.“ და ასეთი ყანჩაველები, რომელნიც ძირიან-ფესვიანად იცვლიან ფერსა იმის და მისედვით, თუ რომელ მომენტში რა გაუვათ—წინამძღვრობდნენ კახ. რკ. გზის მოწინააღმდეგეთ. თავის პირველ სიტყვაში ყანჩაველი იმასაც კი არ მოერიდა, რომ კახ. რკ. გზის წესდება თავისებურად ააღიპარაკა და არა მარტო ხელს აყარებდა იმ მუხლებს, რომელნიც სრულ პატრიოთობას ვერ ამტკიცებენ (წ 2, 3 და სხ.) არამედ იმათაც რყვობდა, რომელსაც კითხულობდა (წ 37) და როცა ეს აღნიშნა და გააბათილეს მისი სიყალბე, ისღა მთქვა: „დასკვნა კტუისაგნ არისო.“

ალ. ყანჩელიმა უფრო გააძლიერა **შიში სხვა** ორატორებისა და აქც ხრიკებს მიმართა, რასაც ველია, ჯერ აღნიშნა, რომ ქარვასლოს **წინააღმდეგ** ვალი დააწვება 1,200,000 მანეთისაო, როცა მალიან კარგად იცის, რომ ქარვასლოს უკვე აწვეს ვალი ნახევარ მილიონისა და მაშასადამე **ახალი** მხოლოდ 700,000—იქნებოდა.

შემდეგ ყანჩელი და სხვებმაც დაგვიხატეს ისეთი სურათი, ვითომ ქარვასლის დაკარგვა გვიქადის ყველა კულტურულ სექციების დანგრევას სკოლების, საზოგადოებათა და სხვაო. ამაზედ **შორს** სიყალბე სადღა წავა? ვინ არ იცის, რომ ჩვენ კულტურულ საქმეებს ქარვასლო კი არ აცოცხლებს, არამედ ბანკი და ეს შიში მხოლოდ ჰავშვების შესაშინებლად თუ გამოდგება. და განა კრებაზე ცხადლივ არ გამოიჩქვა, რომ ქარვასლოსაც არავითარი შიში არ მოეღის, რადგან შეძენილ აქციების ფასით სრული დ ივარება აღებული ვალი? და განა მსჯელობის საფუძველში რომ მარტო ქარვასლის დაკარგვის შიში ყოფილიყო, განა **სხვა** პროექტები კი არ იყო, ან ვერ შემუშავდებოდა კრებაზედ?— არა, მსჯელობა პირდაპირ მიმართული იყო იქითკენ, რომ საქმე ჩაშლილიყო და არა იქითკენ, რომ საუკეთესოდ მოგვარებულიყო. თორემ რა სალაპარაკოა ფორმალური მხარე, როცა საქმე მოგვებულია, რა სალაპარაკოა ქარვასლო, როცა კრებაზედ იყო დამოკიდებული სხვა საშუალებაც გამოენახა, თუ ამ უბრალოს ვერ შეიგუებდა.

თავ-აზნაურობამ შესწრა მთელი ქვეყანა, მეფას მოადგილეს, კოკოვცევს, სახელმწიფო საბჭოს, პუტილოვს და ბანკებს უფრო ათქმევინა იმაზედ, რაც მათის სახელმწიფო ავალსაზრისით უმჯობესი იყო და ახლა **თვითონ** უარობს და უკან იხვეს. ესეთ პარის შერცხვენას არავინ აპატიებს და სწორედ ის პირნი, რომელნიც ყველაზედ მეტს ჰყვიროდნენ, რომ თავ-აზნაურობამ პირი შეირცხვინა მთავრობის წინაშეო, დღეს თვითონ თავსა სკრიან თავის მოქმედებით. ჩვენ არა ვართ თავ-აზნაურობის პრესტიჟის დამცველნი, მაგრამ თვით დამცველნი რომ ამ პრესტიჟს მასხარად იგდებენ, თორედ თავისი გაიყვანონ—ეს პირველი მაჩვენებელია, რამდენად გულწრფელად იყენებენ ყოველ ბრიკსა.

მაგრამ პრესტიჟი რომ იქით გადაყავდოთ, უბრალო ადამიანური ეთიკა მოითხოვს არ მოატყუო ის, ვისთანაც საქმეს იკერდა თუ ესეც სასაცილოდ არა ჰყოფნით ბ-ნ ყანჩელებს; კომერციულ საქმეში ეთიკა რა შუაშიაო, — ძნელია მათთან კამათი. კომერციულ

საქმეში ეთიკა არ ყოფილა საჭირო; როცა დაბეჭდილ წესდებას კითხულობს მაშინაც არ ყოფილა საჭირო, რადგან... ან მართლაც რა საჭიროა ყანჩავლები! ათვის ეთიკა? მაგრამ როცა ისინი სხვებს უქადაგებენ ამას — მაშინ ჩვენ მოვალენი ვართ დაუყვიროთ: შორს საზოგადო საქმისაგან, — ეს კლუბი არ არის!

ალარ შევჩერდები იმაზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის კახ. რკ. გზაზედ პატრონობას; რაკი უკვე ბევრჯელ გვექონია ამ საგანზედ ბასი მკითხველებთან, მაგრამ არ შეგვიძლია გაკვირვება არ გამოვსთქვათ იმის შესახებ, რომ ჩვენი „ინტელიგენცია“ ეურჩება ეკონომიურ ორგანიზაციის შექმნას იმ მოსაზრებით, რომ კულტურულ-ქველმოქმედურ საქმეთ მოაკლდებათ თანხაო. ამას რომ ძველებური შეხედულების თავ-აზნაურნი ამბობდნენ — რა გასაკვირველია, ისინი მართო ქველმოქმედებაში ხედავენ ხნასა თავისთვისაც, და იმათთვისაც, ვისაც მოწყალებას აძლევენ, მაგრამ ამასვე რომ იმეორებენ ზოგი ინტელიგენტებიც, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გამრყენელმა გავლენამ ქველმოქმედებისამ მათხედაც იმოქმედა. ჩვენი მოვალეობაა შევქმნათ ეკონომიური ორგანიზაციები, შევქმნათ ისეთი ამხანაგობა-საზოგადოებანი, რომელნიც თავისუფლად იდგებიან თავის საკუთარ ფეხზედ და გლახასავეთ არ შეჰყურებენ ხელში იმ თავ-აზნაურობას, რომელსაც წარა-მარა ლანძღვენ. იმის მაგიერ, რომ ორთავ ხელით მოვეჭიდოთ ისეთ საშუალებას, საცა ბედმა გაგვიღიმა და მთელს რკინის გზას ხელში გვაძლევენ, საცა ჩვენ შეგვეძლება ათასობით შევქმნათ კულტურული საქმენი, რადგან თვით რკინის გზაც უდიდესი კულტურული საქმეა; საცა ჩვენ შეგვეძლება საფუძველი ჩაუყაროთ ჩვენი საკუთარი მეურნეობის და მრეწველობის შექმნა-აღორძინებას — ყველა ამის მაგიერ ჩვენ შიშნარევად ვიძახით: დღევანდელი კვერცხი, ხვალინდელ ქათამს მირჩვენიაო. ესე შეუძლიან მსჯელობა მხოლოდ შეწვრილმანეს და არა ისეთ ადამიანს, რომელიც განსჭვრეტს მომავალს თავის ერისას.

დროა გადავაგდოთ ქველმოქმედური ორგანიზაცია ჩვენი ღარიბი ცხოვრებისა და შეუდგეთ შექმნას მატერიალურ-კულტურისას; ისეთ კულტურას, რომელსაც მოაქვს სიმდიდრე ნივთიერი, სულიერი სიმდიდრის გასაფურჩქნელად.

დროა მოვიდეთ გონსა და მივხვდეთ, რომ ისტორია არ იქედება მარტოოდენ სწავლა-განათ-

ლებით, და სულიერი კულტურით არ იფარგლება, — ისტორიას რკინის ეკონომიური განხორციელება, რიალებენ და ამას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენგან.

რ. გ.

## ბაღკანეთის ომის შედეგები

როგორც ომის დასაწყისშივე მოსალოდნელი იყო და როგორც ვწერდით ამაზედ — ომის შედეგებით ყველაზედ მეტად ევროპა ისარგებლებს, რადგან ოსმალეთის ვალს ახლა სხვებზედ ანაწილებს და თვით ძალაგამოღულ ბრწყინვალე პორტსაც აციქნის, როგორც ტერიტორიას. ისე „გავლენათა სფეროებს“. ინგლის-ოსმალეთის „შეთანხმება“ იმას ნიშნავს, რომ ოსმალეთი იძულებულია მისცეს მდიდარს ინგლისს ზოგიერთი კუნძულები (სხვათა შორის კიპროსიც) და უთამოს რკინის გზის კონცესიები ანატოლიაში, და ნასესხებ ფულითაც ისევ ინგლისში ააშენოს საჭირო გემები; ისე რომ იქიდგან, ხელში დასაქერად მაინც ვერ გამოაქვს ფული. ასევე სარგებლობს გერმანიაც და ქუთათ მყოფელი ავსტრიელიც ურჩევენ მთავრობას: დაანებე თავი იარაღის ჩხრიალს, ეგებ სამშვიდობო ბაზარი სადმე ავიჩინოთ ოსმალის კიდებზედ. საფრანგეთი, რუსეთი და ყველა, ვისაც ხელი მიუწვდება, თუ არა — ყველა სცდილობს ისარგებლოს და დროით გამოაცალოს რამე დაცემულს სახელმწიფოს.

ამავე დროს, მოკავშირენი, რომელთა ძლიერებას შეადენდა ერთობა, და რომელთაც მოულოდნელად დასცეს ოსმალეთი ერთი ხელის მოსმით, დღეს ნადავლის გაყოფაზედ ამრეხილან და უკვე მტრული განწყობილება იკიდებს ფეხს მათ შორის. ბულგარეთი და საბერძნეთი ოფიციალურად თუ არ ომობენ, აქა-იქ ერთმანეთს თოფ-ზარბაზნით უმასპინძლდებიან და უხოცავენ ჯარის კაცებს. იმასაც კი ამბობენ, რომ ოსმალეთს და ბულგარეთს შეუკრავთ პირობა საბერძნეთის წინააღმდეგაო.

სერბია-ბულგარეთის ურთი-ერთობაც ვერ ჩამდგარა კალაპოტში და შეიძლება მალე „ძმათა“ სისხლიც დაიღვაროს საზღვრების გაყვანაზედ, რადგან გამარჯვებულნი ველარ კმაყოფილდებიან ომის წინად დადებულ ხელშეკრულებით და როგორც ერთნი, ისე მეორენი სცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაჰკლიჯონ ერთმანეთს.

ისეთი მოძმე ხალხნიც კი, როგორც სერბია და ჩერნოგორია, ისინიც კი ვერ არიან შეთანხმებულნი და ალბანეთის ავტონომიის ჩაჩხირვა მოკავშირეთა საზღვრებს შორის, ჰქმნის უსიამოვნებას.

რუმინიამაც, რომელიც თავიდანვე სულ იმის ცდაში იყო როგორმე ესარგებლნა ომით და რ.მე წაეგლიჯა ბულგარეთისათვის, თავისი პრეტენზიები წამოუყენა და კიდევ მისწვდა საწადელს, თუმცა საბოლოო მორიგება არ მომხდარა.

ყველა ეს ამბები გვაფიქრებინებს, რომ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დალაგდება მალე ომით ატეხილი დავა და გამწვავება მდგომარეობისა ხელახლა შესაძლებელი.

მართალია, ოსმალეთი ძლიერ დამარცხდა, მაგრამ მაინც განუწყვეტლივ გზავნის ჯარებს ჩატალჯაზედ და, ვინ იცის, კიდევაც შეეცადოს დაკარგულის ანაზღაურებას, თუ მოკავშირეთ დროზედ არ მოსბეს შინაური შფოთი და ერთმანეთს დაუწყეს წევვა.

ასე არის ჯერ კიდევ აწეწილი საქმე ბალკანეთზედ, ჯერ კიდევ არ დამცხრალა საომარი ღინი მებრძოლთა ერთ მხარეს და უკვე ჰაერში მეორე ომის სკნი ტრიალებს — ახლა შორეულ აღმოსავლეთზედ იკრიბება ღრუბლები: ამერიკას და იაპონიას ცალკე მოსდის ლაპარაკი, იაპონიას და ჩინეთს ცალკე მოლაპარაკება და.სხ. ამგვარად თითქმის განუწყვეტლად რომელიმე კუთხე ქვეყნისა მოწამე ხდება სისხლის ღვრისა და ბარბაროსობისა. ეს არის მეოცე საუკუნის კულტურის სიმაღლის მომასწავებელი.

## ბიბლიოგრაფია

რედაქც. მოუვიდა წიგნი ჩვენი პატივცემული თანამშრომლისაგან — ალ. ყიფ შიძესაგან. ეს წიგნი არის „კანონი გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, თბილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში“. გამოცემულია იგი რუსულად და ქართულად და დაწვრილებით გვაცნობს იმ ახალს კანონს, რომელიც დამტკიცდა გასულ წლის 25 ქრისტეშობისთვის. ეს წიგნაკი ფრიად საყურადღებოა ყველა იმ პირთათვის, როგორც ყოფილ მებატონეთა, ისე დროებით ვალდებულთათვის, ვინც დაინტერესებულია კანონის სწორედ შეთვისებაში და კანონიერად შესრულებაში. თორემ, როგორც არა ერთხელ მოგვსვლია ამბავი, ერთიც და მეორე მხარეც უფროსებურად ხსნის ამ კანონს და მოსაზრებებსა ერთი ერთ შორის არა-სასურველი კონფლიქტებიც.

რადგან ქართული საკანონმდებლო ტერმინოლოგია თანამედროვე პირობებთან არ არის შეგუებული; ავტორს დაურთავს პატარა ლექსიკონიც.

სასურველია რომ ყველა კანონი, რომელიც შეეხება ჩვენს ქვეყანას ასევე სრულად და კარგად გამოიცეს ხოლმე, ბევრი უსიამოვნო მოვლენის თავიდან ასაცილებლად და რადგან უმეტესობას ჩვენი ხალხისას თვით კანონის შეთვისებაც გაუძნელდება.

კარგი იქმნება ლექსიკონთან პატარა განმარტებანიც დაიბეჭდოს ხოლმე. რასაკვირველია ყველა ამას კერძო პირი ვერ იკისრებს და უნდა დაევალოს რომელიმე ორგანიზაციას.

მოგვივიდა „ჯეჯილის“ რედაქციის გამოცემა „საბავშვო თეატრი“ ოთხი პატარა სათეატრო ნაკვთით: „დემური“, „მგელი, თხა და ციკანი“, „პეტრიკა მოიწამლა“ და „ტყუილს ტყუილი მოსდევს“. წიგნი გამოცემულია სუფთად და ლამაზად. შეიცავს 68 გვერდს და ღირს ორი შაური.

რედაქციამ მიიღო ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ გამოცემული ღია (საფოსტო) ბარათები ალ. სოლ. ხახანაშვილის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. თითო ბარათი ღირს 5 კაპ. და იყიდება წერაკუთხვის გამავრცელებელ საზოგადოების და სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიებში.

ახლად დაარსებული მიხეილ კავსაძის მიერ „თბილისის ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ პირველად ჰმართავს კონცერტს სახალხო სახლში კვირას დილით 26 მაისს 1913 წ. გუნდში მონაწილეობს 111 კაცამდე; გამოწყობილი იქნება ეროვნულ ტანისამოსში (ჩერქეზულად) და შეასრულებს ხალხურ სიმღერებს. სხვათა შორის იქნება შესრულებული რაქელი სიმღერებიც. კონცერტის წინად მიხეილ კავსაძე წაიკითხავს მოხსენებას მუსიკაზედ: „ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა) და მისი მდგომარეობა განვითარება“.

რედაქტორ-გამომცემელი რ. გაბაშვილი.

## !!40 ДНЕЙ БЕСПЛАТНО!!

Если вы в течение 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по немецки, французски, английски и латински по нашим самуучителям, составленным по новейшему методу (всё другое реклама),

деньги возвращаемъ обратно.

Цена самоучит. одного языка съ перс. н.лож. платеж. 1 руб. 10 коп. 2-хъ 1 р. 90 к., 3-хъ 2 р. 80 коп., 4-хъ 3 р. 65 к. Заказы исполнять единств. складъ для всей Россіи С-Петербургъ. Петерб. стор. Большой пр., 56-1 Я. К. ПЕТЕРСЬ.

### 1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ

Полный курсъ лекцій для самообученіе „сыромный и постный столъ“, около 100 рецептовъ кушаній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ б.подъ пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. Цена съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правильно вести дамшане хозяйство и готовить экономическіе вкусные и питательные обѣды съ приложеніемъ разрѣзки мяса и обращеніемъ стола и блюдь, около 100 стр. съ рисунками. Цена 1 р. 20 к. обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-петерб. Петр. стор. Большой пр. № 56-1

### ПОЛЬЗУЙТЕСЬ СЛУЧАЕМЪ

Поступили въ продажу по удешевленной цѣнѣ 3 большихъ тома около 800 страницъ, убористаго текста.

## ПОСМЕРТНЫЯ художественныя произведенія

гениальнаго писателя

## Л. Н. ТОЛСТОГО

Высылаемъ съ пересылкой наложеннымъ платежомъ вмѣсто 3 р. 50 к. за 2 р. 50 к. или по полученіи всей стоимости, можно марками, заказы выполнять единственный складъ для всей Россіи.

СПБ., Пет. ст., Большой пр., № 56-1  
Я. К. ПЕТЕРСЬ.

Въ настоящій моментъ кровавыхъ событій въ Турціи и на Балканахъ нѣтъ болѣе популярной и занимательной книги для чтенія, полной невзвоянныхъ любовныхъ и политическ. интригъ и разоблаченій жизни мусульманскаго Востока, столкнувшася съ цивилизаціей Запада, какъ сенсационный романъ

## «ТУРЕЦКІЙ СУЛТАНЪ»

— ИЛИ —

### „Тайны Константинопольскаго Двора“

популярнѣйшаго въ Европѣ романиста-историка

## ГЕОРГА БОРНА.

Свыше 1.000 страницъ убористой печати большого формата на роскошной бумагѣ.

Въ виду ограниченнаго количества остающихся экземпляровъ этой заманчивѣйшей книги, предлагаемъ поспѣшить съ заказами на книгу, которая высылается НЕМЕДЛЕННО по полученіи 3 руб. (съ ушк. в. и пересылкою) или н.лож. платежомъ при задаткѣ въ 1 руб. (можно плат. и гербов. марками), безъ чего заказы не выполняются.

Всю корреспонденцію: денежную, зачисл. и прѣстую надлежитъ адресовать:

С-ПЕТЕРБУРГЪ

Петерб. Стор., Большой просп. № 56-1  
Я. К. ПЕТЕРСУ.

По удешевленной цѣнѣ!

## ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 руб. за 4 руб. 50 коп.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 7 р. 50 к.  
15 Томовъ больш. формата Полнаго собранія Сочин.

## Гюи де-Мопассана

Имя Гюи де-Мопассана гремитъ славою не только среди соотечественниковъ, но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы И. С. Тургенева и Льва Толстого, чтобы судить о томъ высокомъ положеніи, какіе Гюи де-Мопассанъ занялъ въ исторіи Всемирной литературы. Памятникъ воздвигнутъ ему въ Парижѣ краснорѣчиво говорить о симпатіяхъ французской націи. Его произведенія разошлись разновременно болѣе 300 изданий въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и перекладывались на языки всего міра. Сочиненія его особенно больш. интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорить о ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНІЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи правдивой действительности. Книжки высылаются наложеннымъ платежомъ.


Задатокъ въ размѣрѣ 2 руб. 50 коп. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не выполняются.

Единств. Складъ для всей Россіи С. Петербургъ Петерб. Сторона, большой пр. 56-1  
Я. К. ПЕТЕРСЬ.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო


საზოგადოება „კახეთისა“



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ახხაბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთისა“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთისა“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866%, დანებდნა ვენახი: საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწესრიგებული და მკვიდრად დაყვანილია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.